გაზეთი ზევრის. „ვერსიას“ ერთი

ვერსია

№7 (1697) 3 — 9 აპრილი ოთხშაბათი 2024 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

ქართული ფეხბურთის დიდგორი – 26 მარტის ტრიუმფალური გამარჯვების დეტალები

წამებული პრეზიდენტის 85 წელი

ზვიად გამსახურდიას ცხოვრების ტრაგიკული ეპიზოდები

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

რა ქონებას ფლობს დეპუტატი, რომელიც საარჩევნო სიაში ქალთა კვოტებს აუქმებს

„გირჩის“ ლიდერის, იაგო ხვიჩიას ქონებრივი დეკლარაცია

9 აპრილიდან 9 აპრილამდე

ორი თარიღი, რომელმაც საქართველოს უახლესი ისტორია შეცვალა

საპატრულო პოლიციის პატრულ-ინსპექტორები თბილისის №210-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებს შეხვდნენ

საგზაო უსაფრთხოებისა და საპატრულო პოლიციის საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, საპატრულო პოლიციის პატრულ-ინსპექტორები თბილისის #210-ე საჯარო სკოლის მე-7, მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეებს შეხვდნენ. შეხვედრის ფარგლებში, საგზაო მოძრაობის წესები, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენა და გათვალისწინებული სანქციები, პატრულ-ინსპექტორის ფუნქცია-მოვალეობები, საგზაო მოძრაობაში ჩართული მოქალაქის უფლება-მოვალეობები განიხილეს.

სასაზღვრო პოლიციის მფრინავებმა ახალი სამაშველო ვერტმფრენი გერმანიიდან საქართველოში ჩამოიყვანეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თანამედროვე, ახალი, ევროპული ტიპის „H 145“ ვერტმფრენი უკვე საქართველოშია.

სასაზღვრო პოლიციის სპეციალური დანიშნულების ავიაციის დეპარტამენტის მფრინავებმა ვერტმფრენი გერმანიიდან საქართველოში ჩამოიყვანეს. ახალი ბორტი სრულად დაკომპლექტებულია ხანძართან ბრძოლისა და სამთო-სამაშველო აღჭურვილობით.

სამაშველო ვერტმფრენს აქვს 2 ძრავა, რაც ზრდის ფრენის უსაფრთხოებას, ასევე, განსხვავებული, ფენენსტრონის ტიპის კუდა-ხრახნი. იგი გაუმჯობესებულია, როგორც აეროდინამიკური, ასევე, ფრენის უსაფრთხოების თვალსაზრისით.

აღნიშნული ტიპის შვეულმფრენები მაღალ სიმაღლეზე ოპერირებისა და მანევრის შესაძლებლობებით გამოირჩევა, რაც, საქართველოს მაღალმთიანი რელიეფის გათვალისწინებით, არსებულ ამოცანებთან სრულად თავსებადია.

სასაზღვრო პოლიციის სპეციალური დანიშნულების ავიაციის დეპარტამენტის მფრინავებმა და ბორტ-ტექნიკოსებმა თეორიული და პრაქტიკული მომზადება გერმანიაში, „Airbus Helicopters“-ის სასწავლო აკადემიაში გაიარეს.

თანამედროვე, ევროპული ტიპის „H 145“, ვერტმფრენი, ფრანგული კომპანია „Airbus Helicopters“-ის მიერ წარმოებული ერთ-ერთი უახლესი მოდელია, რომლის გადმოცემა გერმანიაში, „Airbus Helicopters“-ის საწარმოში განხორციელდა.

შემდეგი ორი ბორტის გადმოცემა ქართული მხარისთვის 2024 წლის ივნისამდე იგეგმება.

საქართველოს მთავრობასა და ესპანეთის სამეფოს მთავრობას შორის ეროვნული მართვის მოწმობების ურთიერთაღიარებისა და გადაცვლის შესახებ შეთანხმებას ხელი უახლოეს მომავალში მოეწერება

ესპანეთის სამეფოს მინისტრთა საბჭომ უკვე განაცხადა თანხმობა შეთანხმების ხელმოწერის თაობაზე და აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია ესპანეთის სამეფოს პრეზიდენტისა და მინისტრთა საბჭოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განათავსა.

შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ, მხარეთა მიერ გაცემული მოქმედი მართვის მოწმობის მფლობელები, თეორიული ან პრაქტიკული გამოცდის ჩაბარების გარეშე შეძლებენ მიიღონ თანაბარი ძალის მქონე მართვის მოწმობა იმ სახელმწიფოში, რომელიც მათ კანონიერ საცხოვრებელს წარმოადგენს.

შეთანხმებით განსაზღვრულია მართვის მოწმობების კატეგორიები და კლასები, რომლებიც შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ დაექვემდებარებიან გადაცვლას, კერძოდ AM, A1, A2, A, B, B+E, მართვის მოწმობების გადაცვლა თეორიული ან პრაქტიკული გამოცდების ჩაბარების გარეშე იქნება შესაძლებელი, ხოლო C1, C1+E, C, C+E, D1, D1+E, D და D+E მართვის მოწმობების გადაცვლისათვის, განმცხადებლებს მოუწევთ ჩააბარონ მართვის მოწმობის გამოცდა ზოგადი მოძრაობისთვის განკუთვნილ ღია გზებზე, იმ სატრანსპორტო საშუალების ან მისაბმელიანი სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით, რომელთა მართვაც აღნიშნული მოწმობებით იქნება ნებადართული.

კახეთის პოლიციამ თელავში მომხდარი ქურდობის ოთხი ფაქტი გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თელავის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1982 წელს დაბადებული შ.ჯ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ქალაქ თელავში, სხვადასხვა დროს, ოთხ ბინაში უკანონოდ შეაღწია, საიდანაც ძვირფასი ნივთები და თანხა მოიპარა.

საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, პოლიციამ შ.ჯ. ბრალდებულის სახით დააკავა.

სამართალდამცველების მიერ ნივთმტკიცებად ამოღებულია ბინებიდან მოპარული ნივთები.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ბინაში უკანონოდ შეღწევით ჩადენილ ქურდობას გულისხმობს.

იმერეთის პოლიციამ გამოძალვის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის პოლიციის დეპარტამენტისა და ჭიათურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ვ.კ. გამოძალვის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 4 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, თავისი კრიმინალური ავტორიტეტის გამოყენებით, ჭიათურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მეწარმეს – შ.გ.-ს სისტემატურად სძალავდა სხვადასხვა ოდენობის თანხას.

ბრალდებულმა მიმდინარე წლის მარტში მეწარმეს კვლავ მოსთხოვა გარკვეული ოდენობის თანხის გადახდა, ხოლო უარის მიღების შემდეგ, შ.გ.-ს, მისი და მისი ოჯახის წევრების სიცოცხლის მოსპობით და ფიზიკური ანგარიშსწორებით დაემუქრა, ხოლო მეტი დამაჯერებლობისთვის, ცეცხლსასროლი იარაღის მსგავსი საგნის დემონსტრირება მოახდინა.

გამოძალვის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

9 აპრილიდან 9 აპრილამდე

ნინო დოლიძე

ორი თარიღი, რომელმაც საქართველოს უახლესი ისტორია შეცვალა

ისტორიაში იაშვიათია ისეთი თარიღი, რომელიც ტრაგედიასა და ამავე დროს, ეროვნულ აღმაფრენასთან ასოცირდება. 9 აპრილი სწორედ ასეთი თარიღია – 1989 წლის 9 აპრილს, თბილისის ცენტრში, კრემლმა ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ახალგზრდების სისხლი დაღვარა. ორი წლის შემდეგ კი, 1991 წლის 9 აპრილს, ქვეყნის მაშინდელი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ინიციატივით, 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგა! ბევრი დღემდე კამათობს, ეს რამდენად სწორი ნაბიჯი იყო. ზოგი იმასაც ამბობს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღე 26 მაისს კი არა, არამედ, 9 აპრილს უნდა აღინიშნებოდეს. ასეა თუ ისე, ჩვენს ისტორიაში არის ორი 9 აპრილი – ტრაგედიისა და ზეიმის დღე, დღე, რომელსაც საფუძველი სწორედ ტრაგიკულმა 9 აპრილმა ჩაუყარა და... სამ ათეულ წელზე მეტია, 22 წლის აზა ადამიას, 16 წლის ნათია ბაშალეიშვილის, 15 წლის ეკა ბეჟანიშვილის, 23 წლის ნატო გიორგაძის, 28 წლის თამუნა დოლიძის, 70 წლის თინა ენუქიძის, 25 წლის ნინო თოიძის, 61 წლის ზაირა კიკვიძის, 33 წლის მანანა ლოლაძის, 50 წლის თამარ მამულიშვილის, 46 წლის ვენერა მეტრეველის, 22 წლის მამუკა ნოზაძის, 41 წლის ნანა სამარგულიანის, 35 წლის შალვა ქვასროლიაშვილის, 31 წლის მარინა ჭყონია-სამარგულიანის, 25 წლის ელისო ჭიპაშვილის, 16 წლის თამრიკო ჭოველიძის, 40 წლის ნოდარ ჯანგირაშვილის, 43 **წლის მზია ჯინჭარაძის, 23 წლის მანანა მელქაძისა და 25 წლის გია ქარსელაძის სულები ზეციური საქართველოდან კითხულობენ: რატომ მოგვკალით?**
ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ადვილიცაა და რთულიც, თუმცა შევეცდებით, 1989 წლის 9 აპრილის X-ფაილი ყოველგვარი ბელესტრისტიკისა და ლირიკული გადახვევების გარეშე შევქმნათ.

საერთოდ, ამ თემაზე ბევრი თქმულა, ბევრიც დაწერილა და, შესაბამისად, ყველამ ყველაფერი თითქოს ვიცით, მაგრამ ზოგიერთი დეტალის გახსენება არ გვაწყენს, მით უმეტეს, დღეს, როცა მოდერნიზებული რუსული იმპერია ჩვენს შთანთქმას ისევ ცდილობს.

ამასობაში, გორბაჩოვ-როდიონოვის სულიერ-ფიზიკური მემკვიდრე, ვლადიმერ ვლადიმერის ძე საბჭოთა კავშირის დაშლას მე-20 საუკუნის ყველაზე დიდ გეოსტრატეგიულ შეცდომად მიიჩნევს, მის ქართველ ფანებსაც გული ისევ „ერთმორწმუნე დიდი ძმისკენ“ მიუწევთ და ჩუმ-ჩუმად, 9 აპრილის ტრაგედიასაც ამართლებენ.

ჩვენში დარჩეს და, მხოლოდ ახლა კი არა, ისეთი ქართველები, რომლებიც მომიტინგეთა წინააღმდეგ ძალის გამოყენებას დაჟინებით ითხოვდნენ, თავის დროზეც იყვნენ. ახლა, იმის თქმა, რომ ყველაფერი მათი ბრალია, ცხადია, არ შეიძლება და ვერც იმის მტკიცებას დავიწყებთ, მაშინდელი პოლიტიკური ელიტის ნაწილს „მწვანე შუქი“ რომ არ აენთო, კრემლი რუსთაველზე სასაკლაოს ვერ მოაწყობდაო, მაგრამ ფაქტია: 9 აპრილის „ბართლომეს ღამის“ საბაბი სწორედ იმ ქართველების დაჟნებული მოთხოვნა გახდა, რომლებიც კომუნისტურ სივრცეში თავს ლაღად გრძნობდნენ, დამოუკიდებელ საქართველოში კი საკუთარი მოამავალი ბუნდოვნად ესახებოდათ, თუმცა მერე, წლები რომ გავა, ეს „ტიპები“ ღამის დემოკრატიის მედროშეებად მოგვევლინებიან.

ამაზე დიდი ბედის ირონია რაღა უნდა იყოს?!

საიდუმლო რეისი

მარიკა კახაძე ჩემი უფროსი მეგობარია, კარგი ჟურნალისტი და პუბლიცისტი. რამდენიმე წლის წინ, როცა 9 აპრილზე ვსაუბრობდით, მარიკამ მითხრა:

„1989 წლის 9 აპრილს, მთელი საქართველო რუსთაველზე იდგა (ხაზს ვუსვამ – მთელი საქართველო) და ხალხს თავისი სამშობლო უყვარდა, უყვარდა გულანთებულად და არ ეშინოდა თოფიანი, ნიჩბიანი, ტანკებიანი, ავტომატებიანი, ბომბებიანი რუსების. შეიარაღებული რუსის ჯარი მაშინ საქართველოში იდგა, რადგან სოციალისტური საქართველო კომუნისტური რუსული იმპერიის ნაწილი იყო. რუსის ჯარი მშვიდობიანი დემონსტრანტების დასარბევად ემზადებოდა და ეს ყველამ იცოდა, მაგრამ „ვირთხების“ გარდა, არავის ეშინოდა – ვირთხები თავიანთ ხვრელებში იყვნენ!

ბევრი შემედავება, მთელი საქართველო არ იდგა რუსთაველზეო... მათ საპასუხოდ ვიტყვი – იდგა ასიათასობით ადამიანი, რომელთა შორის იყვნენ არა მარტო ქართველები, არამედ, რუსებიც, სომხებიც, ქურთებიც და ბევრი სხვა ეროვნების წარმომადგენელიც (ბევრი არა, მაგრამ იყვნენ) და ამას თამამად ვამბობ, რადგან მეც იქ ვიდექი და ვიცი. ვიმეორებ, იქ იდგა მთელი საქართველო! იდგნენ პატრიოტები!

და მხოლოდ ფიზიკურ დგომაზე არაა ლაპარაკი. რუსთაველის პროსპექტი და მაშინდელი ლენინის მოედანი ყველას ვერ დაიტევდა და ისინი, რომლებმაც მოსვლა ვერ შეძლეს, სულით, გულით და სიყვარულით ჩვენს გვერდით იყვნენ. სწორედ ასეთმა შემართებამ და დამოუკიდებლობის დაუძლეველმა სურვილმა გააერთიანა ერი დამპყრობელის წინააღმდეგ“.

გავრცელებული მოსაზრებით, სწორედ 9 აპრილის ტრაგედია დაედო საფუძვლად საბჭოთა იმპერიის დაშლას. ეს შეფასება, შესაძლოა, ვინმეს გადაჭარბებულად მოეჩვენოს, მაგრამ თუკი ყველაფერს ავწონ-დავწონით, მივხვდებით, რომ დიახ, 9 აპრილით, წითელმა გველეშაპმა ერთი თავი დაკარგა, რასაც სხვა „მოძმე რესპუბლიკების“ გამოფხიზლებაც მოჰყვა ანუ 1989 წლის თბილისის ტრაგედია იმის საბაბი გახდა, რომ კრემლის წინააღმდეგ ხმა აზერბაიჯანელებსაც ამოეღოთ და ბალტიისპირელებსაც. შესაბამისად, 9 აპრილის სცენარით, სისხლიანი სპექტაკლი 1990 წლის 20 იანვარს – ბაქოში დაიდგა, 1991 წლის 13 იანვარს კი – ვილნიუსში. წითელარმიელებმა აზერბაიჯანში 107 ადამიანი მოკლეს, ლიტვაში – 14.

ვის კისერზეა ბაქოსა და ვილნიუსის ტრაგედიები? – ამას შესახებ მსჯელობა შორს წაგიყვანს. აი, სისხლიანი 9 აპრილის მთავარ არქიტექტორად კი საქართველოს ცეკა-ს მაშინდელი პირველი მდივანი, ჯუმბერ პატიაშვილი, აწ განსვენებულ ედუარდ შევარდნაძეს მიიჩნევდა, რომელსაც იმხანად საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა.

მეტიც, პატიაშვილის ეჭვით, თვითმფრინავში, რომელიც 1989 წლის 8 აპრილს, თბილისის აეროპორტში მოსკოვიდან დაეშვა, შევარდნაძე იჯდა, თუმცა საქართველოს მეორე პრეზიდენტი ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფდა.

რეალურად, რა მოხდა 1989 წლის 8 აპრილს, თბილისის აეროპორტში? – ამ თემაზე ამომწურავ ინფორმაციას, ალბათ, უშიშროების კომიტეტის მაშინდელი ხელმღვანელი, გივი გუმბარიძე ფლობს, რომელიც პატიაშვილის ვერსიით, თვითმფრინავში ავიდა... სხვათა შორის, 9 აპრილის შემდეგ, ჯუმბერ პატიაშვილის პოსტი გივი გუმბარიძემ დაიკავა. არადა, წესით, თბილისში მიმდინარე მოვლენებზე პასუხი მასაც უნდა ეგო, რადგან ოფიციალური ინფორმაციით, მთავრობის სასახლის წინ შეკრებილი მომიტინგეები სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდნენ და ხელისუფლებამ მიტინგის დაშლის გადაწყვეტილებაც სწორედ ამიტომ მიიღო...

1990 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოში პირველი მრავალპარტიული არჩევნები ჩატარდება, სადაც ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით მრგვალი მაგიდა გაიმარჯვებს.

მერე, წლები რომ გავა, ერთ-ერთ ინტერვიუში, საბჭოთა საქართველოს შს უკანასკნელი მინისტრი შოთა გორგოძე იტყვის, პარტიული ელიტა არჩევნების მოსაგებად არაფერს აკეთებდაო.

თუკი ასეა, მაშასადამე, გივი გუმბარიძემ კომუნისტების დამარცხებას ხელი შეუწყო? – ეს მხოლოდ პოლიტიკურმა ღმერთებმა და პოლიტიკური სამოთხიდან განდევნილმა ანგელოზებმა იციან...

ხელისუფლებაში ეროვნული ძალების მოსვლისთანავე, გუმბარიძე მოსკოვში წავა და, გავრცელებული ინფორმაციით, მას შემდეგ საქართველოში აღარაც ჩამოვა...

მოკლედ, 9 აპრილის ტრაგედიის საიდუმლოს ერთ-ერთი გასაღები, ალბათ, სწორედ გივი გუმბარიძესთან ინახება...

სისხლიანი ინტრიგები

ოფიციალური მონაცემებით, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლამდე გამოქვეყნდა, 1989 წლის 9 აპრილს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, 21 ადამიანი ჭყლეტვის შედეგად დაიღუპა. კომუნისტებმა არც ის აღიარეს, რომ საბჭოთა არმიის ე.წ. მერვე პოლკმა უიარაღო ქართველების წინააღმდეგ, საბრძოლო ნიჩბებთან ერთად, „სი-ეს-ი“ და სხვა მომწავლელი გაზიც გამოიყენს. „სი-ეს-ი“ არც 16 წლის ნათია ბაშალეიშვილის ნეშტის ექსპერტიზის დასკვნაშია ნახსენები, თუმცა მისი გარდაცვალების მიზეზად ტოქსიკური მოწამვლა დასახელდა...

ნათია ბაშალეიშვილი, 17 აპრილს, ე.წ. არამიანცის საავადმყოფოში გარდაიცვალა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა კურთხევით, გარდაცვალების წინა დღეს, გოგონა მონათლეს. მართალია, ამ დროს ნათია უგონოდ იყო, მაგრამ როცა მოძღვარს ნათლობის რიტუალის შესრულება დაუწყია, წარბები შეურხევია...

ნათია ბაშალეიშვილი 1989 წლის 23 აპრილს, ბზობას, ვერის სასაფლაოზე დაასაფალვეს... 1989 წლის 9 აპრილს, ნათიას თანაკლასელი თამრიკო ჭოველიძეც დაიღუპა. ნათია და თამრიკო მეგობრები იყვნენ...

რამდენიმე წლის წინ, ნათიას დედას, მაული ბაშალეიშვილს შევხვდი, რომელიც 1989 წლის აპრილს მოვლენებს ასე იხსენებდა:

„1989 წლის 8 აპრილს, ღამის 11 საათზე, ნათია და თამრიკო ჭოველიძე ერთმანეთს ფილარმონიასთან შეხვდნენ. პარლამენტის წინ მიმდინარე აქციაზე ისინი თამრიკოს დედის მეგობარს უნდა წაეყვანა, მაგრამ ის ქალბატონი არ მოვიდა... ამის შესახებ ნათიამ არ გამაგებინა, თორემ ბავშვებს მიტინგზე მარტო არ გავუშვებდი... სხვათა შორის, წინა დღეს ხმა გავრცელდა, რომ, შესაძლოა, აქცია ცრემლსადენი გაზით დაეშალათ. ამიტომ ნათიას ნიღაბი შევუკერე...

– ქალბატონო მაული, 9 აპრილის ტრაგედიიდან 18 წელი გავიდა. ამ ტრაგედიაში ვის ადანაშაულებთ?

– ჩემი შვილი ისტორიულ კატაკლიზმებს შეეწირა!..

– საქართველოს ცეკა-ს იმჟამინდელ მდივანს, ჯუმბერ პატიაშვილს რომ შეხვდეთ, რას კითხავთ?

– არაფერს, რადგან ისიც 9 აპრილის მსხვერპლია!

– ამას რატომ ამბობთ?

– 9 აპრილს, ედუარდ შევარდნაძემ მას ყური სოლიკო ხაბეიშვილის გამო აუწია!.. პატიაშვილი ხალხთან რომ გამოსულიყო, გამორიცხული არ არის, ისიც მოეკლათ!“

ვერსიას, რომ 9 აპრილის ტრაგედიის საბაბი ვიწრო პირონული ინტრიგები გახდა, არსებობის უფლება, ცხადია, აქვს ანუ გამორიცხული არაა, რომ პატიაშვილ-შევარდნაძის დაპი-

დასასრული მე-13 გვერდზე

წამებული პრეზიდენტის 85 წელი

ნინო დოლიძე

31 მარტი საქართველოს პირველი პრეზიდენტის დაბადების დღეა – წელს ზვიად გამსახურდია 85 წლის გახდებოდა. მაშინ ანუ სამ ათეულ წელზე მეტის ხნის წინ, მსოფლიოში დღევანდელი პოლიტიკური მოცემულობა რომ ყოფილიყო, შესაძლოა, მოვლენები სხვაგვარად განვითარებულიყო და ზვიად გამსახურდიაც სიკვდილს გადარჩენოდა, მაგრამ მაშინ დასავლეთს საქართველო მაინცდამაინც არ აინტერესებდა. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს პირველი პრეზიდენტი ცივილური მსოფლიოსთვის დიდად მისაღები პერსონა არ გახლდათ. აკი, გავლენიანმა ამერიკელმა პოლიტიკოსმა თქვა კიდეც, გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო. ჩვენში დარჩეს და, აწ განსვენებული პრეზიდენტი დინების მიმართულებით არასოდეს მიცურავდა. ზოგადად, დინების მიმართულებით ცურვა მკვდარ თევზებს სჩვევიათ. დინების საწინააღმდეგოდ კი მხოლოდ ისინი მიდიან, რომელთაც იდეა და მიზანი აქვთ ანუ დინების საწინააღმდეგო ცურვა თავისუფლების მოყვარულთ ახასიათებთ. ზვიად გამსახურდია კი, ვინმეს მოსწონს თუ არა, ქართული თავისუფლების სიმბოლო იყო და არის!

ზვიად გამსახურდიას ცხოვრების ტრაგიკული ეპიზოდები

დიახ, მას სწორედ თავისუფლების ეს სიყვარული არ აპატიეს და მოხდა ის, რაც მოხდა – ეროვნული ხელისუფლება ჩვენივე ხელით დავამხეთ, თუმცა ამ თემაზე საუბარი დღეს მოდური არაა. უფრო მეტიც, როცა ახალ ეროვნულ მოძრაობაზე საუბრობენ, ყასიდადაც არავინ ამბობს, რომ 1992 წლის 6 იანვარს, ზვიად გამსახურდია იძულებული გახდა, მცირერიცხოვან გარემოცვასთან ერთად, სამშობლო დაეტოვებინა... თავდაპირველად, დევნილი პრეზიდენტი აზერბაიჯანის საზღვარს მიადგა, თუმცა ოფიციალურმა ბაქომ გამსახურდიას მიღებაზე ცივი უარი განაცხადა.

ერთ-ერთი მოსაზრებით, აზერბაიჯანს დევნილი პრეზიდენტის მიღებაზე უარი რომ არ ეთქვა, ზვიად გამსახურდიას ბედისწერა, შესაძლოა, სხვანაირი ყოფილიყო, თუმცა ამ ვერსიას გამსახურდიას თანამებრძოლი, უზენაესი საბჭოს წევრი, აწ განსვენებული, თემურ ქორიძე არ ეთანხმებოდა და ამბობდა:

„გამსახურდიას მისია გაცილებით დიდი იყო, ვიდრე რაღაც პოლიტკონიუნქტურის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება. ზვიადი, ისევე, როგორც მერაბი, იმთავითვე გაჩენილი იყო იმისთვის, რომ შესწირვოდა ამ მისიას, რაც რჩეულთა ხვედრია. გამსახურდიას ეს ჰეროიკული დასასრული მას შემდეგ უნდა დამდგარიყო, როცა იგი უმთავრეს სასიცოცხლო მიზანს მიაღწევდა -გამოაცხადებდა საქართველოს დამოუკიდებლობას. ზვიადს თავის ნაწარმოებებში გაშიფრული აქვს საკუთარი ბედისწერა, გმირული აღსასრული, რომლისკენაც მიიწევდა. საქართველოს ბედისწერა კი არც მუთალიბოვისა და არც პეტროსიანის კეთილ განწყობაზე არ ყოფილა დამოკიდებული“.

შესაძლოა, ასეც იყო და ზვიად გამსახურდიას, მართლაც, ის მისია ჰქონდა, რომელიც შეასრულა – საქართველოს დამოუკიდებლობა აღადგინა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სამი ათეული წლის შემდეგაც კი, ისევ ბურუსითაა მოცული, თუ რა მოხდა 1991-92 წლებში საქართველოში და ასევე, გაურკვეველია, რატომ არ გაუწოდა დახმარების ხელი მეზობელმა აზერბაიჯანმა საქართველოს პირველ პრეზიდენტს?

* * *

„პრეზიდენტი, ოჯახის წევრებსა და თანმხლებ პირებთან ერთად, განჯამდე ჩავიდა, თუმცა თავშესაფარზე უარი უთხრეს და გზა ბაქოსკენ აღარ გაუგრძელებია. მიუხედავად იმისა, საქმე უკანონოდ დამხობილ და ქვეყნიდან გაძევებულ პრეზიდენტს ეხებოდა, მათ უარის მიზეზი არ განმარტეს, თუმცა... აიაზ მუთალიბოვმა რუსეთის ფაქტორის გამო ვერ გაბედა, ზვიად გამსახურდიასთვის, თუნდაც დროებით თავშესაფარზე თანხმობა ეთქვა... სხვათა შორის, ძალიან სანდო წყაროსგან მაქვს ინფორმაცია, რომ რუსული სპეცსამსახურები ჯერ კიდევ მაშინ ცდილობდნენ მიახლოებოდნენ სანატორიუმს და მოეკლათ ზვიადი, მაგრამ ვერ აეწყო ოპერაცია. ჩაშლილი სპეცოპერაციიდან, დაახლოებით 8-9 დღეში, გამსახურდიამ სომხეთი მას შემდეგ დატოვა, რაც ჯოხარ დუდაევის დაცვის უფროსი, აბუ არსანუკაევი საკუთარი თვითმფრინავით ერევანში დაჯდა და სომხეთის პრეზიდენტს ესაუბრა. სხვათა შორის, ტერ-პეტროსიანს დაუკავშირდა ჯოხარ დუდაევიც. ისე, პრეზიდენტს არასოდეს უნახავს სანატორიუმში გამსახურდია, რადგან სომხეთს, პრაქტიკულად, დამოუკიდებლობაზე მეტად, მთიანი ყარაბაღის დაპყრობა უღირდა და რუსეთთან კარგი ურთიერთობები სჭირდებოდა.

როცა ზვიადი იჯევანში იყო, ქალაქის საკრებულოს დელეგაციას სთხოვა, გაეჩხრიკათ მისი ბარგი. მიზეზი ის იყო, რომ თბილისში, გადამტრიალებლები აქტიურად მუსირებდნენ, თითქოს გამსახურდიამ გაიტაცა რამდენიმე მილიარდი. ოქმი შეადგინეს, რა თქმა უნდა, ვერაფერი აღმოაჩინეს. როგორც ვიცი, მაშინ ტერ-პეტროსიანთან მოლაპარაკებას აწარმოებდა ზვიადის ერევნელი მეგობარი, ფილოსოფიის დოქტორი და პროფესორი, კარენ სვასიანი. მას შვეიცარიაში შევხვდი, გვიან 90-იანებში“, – იხსენებდა რამდენიმე წლის წინ, გაზეთ „ვერსიისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ზვიად გამსახურდიას უფროსი ვაჟი, კონსტანტინე გამსახურდია.

ასეა თუ ისე, ფაქტების ერთობლიობა იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ ზვიად გამსახურდია მხოლოდ ქვეყნის შიგნით კი არა, ქვეყნის გარეთაც გასწირეს.

თუ კიდევ უფრო სიღრმეში წავალთ, მაშინ იმის თქმაც შეიძლება, რომ ამ დიდი შეთქმულების დეტალები ჩრდილოეთში შეთანხმდა, თუმცა მთელ ამ პოლიტ-კრიმინალურ აგორაში, ყველაზე უცნაური ისაა, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტისა და ეროვნული ხელისფლების დამხობის, ასევე, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების საქმე, 1992 წლის შემდეგ ხელისუფლებაში მოსულ ერთ პოლიტიკურ ჯგუფსაც კი არ გამოუძიებია.

ყველაფერი ეს კი, ცხადია, აჩენს გონივრულ ეჭვს, რომ საქართველოს უახლეს ისტორიაში სამოქალაქო ომის სახელით შესული ქრონიკების საიდუმლოს ამოხსნა არავის აწყობს.

რატომ? – თუ კულუარულ ვერსიებს გავყვებით, დღესაც არიან პოლიტიკურ ელიტაში ისეთები, რომლებიც ზვიად გამსახურდიას სისხლიან დამხობაში ლომის წილს ასრულებდნენ. თუ ასეა, მაშინ გამოდის, რომ ჩვენ მოჯადოებულ წრეზე ვტრიალებთ და ეს წრე არასოდეს გაიხსნება...

მოკლედ, 1992 წლის 6 იანვარს, ზვიად გამსახურდიამ სამშობლო დატოვა და მისი მოწამეობრივი ცხოვრების ახალი ფურცელი გადაიშალა... 6 იანვრამდე კი იყო 1991 წლის 22 დეკემბერი, საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული დღე – ქართველმა ქართველს, კიდევ ერთხელ, სწორედ ამ დღეს ესროლა!

ისე, ვიღაცები დღემდე ცდილობენ, გაარკვიონ, სასხლეტს პირველად თითი ოპოზიციამ გამოჰკრა თუ პრეზიდენტის გარემოცვამ, მაგრამ ქართული „ვიკიპედიის“ თანახმად, სამოქალაქო ომი იმდროინდელი ოპოზიციის კისერზეა.

„1991 წლის დეკემბერს, ოპოზიციამ რამდენიმე შენობაზე, მათ შორის, საქართველოს პარლამენტზე, სადაც გამსახურდია იმყოფებოდა, იერიში მიიტანა. მოგვიანებით, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის ყოფილი მოადგილე, გენერალი სუფიან ბეპაევი მიუთითებდა, რომ 1991 წლის 24 და 28 დეკემბერს, როდესაც შეიარაღებული ოპოზიცია კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, აღნიშნული სამხედრო ოლქი ცოცხალი ძალითა და ტექნიკით დაეხმარა სამხედრო გადატრიალების ორგანიზატორებს.

მძიმე ბრძოლები თბილისში, 1992 წლის 6 იანვრამდე გრძელდებოდა, რის გამოც, სულ მცირე, 113 ადამიანი დაიღუპა.

6 იანვარს, ზვიად გამსახურდიამ და მისი მთავრობის წევრებმა ალყაშემორტყმული შენობიდან გააღწიეს და აზერბაიჯანში გაიქცნენ, თუმცა იქ მათ თავშესაფარი ვერ მიიღეს. სომხეთმა გამსახურდია მცირე ხნით მიიღო და საქართველოში მის ექსტრადიციაზე უარი განაცხადა. საქართველოსთან დაძაბული ურთიერთობის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით, სომხეთის მთავრობამ გამსახურდიას საშუალება მისცა, ჩეჩნეთში გაქცეულიყო, სადაც მას ჯოხარ დუდაევის მთავრობამ თავშესაფარი მისცა“, – ნათქვამია ქართულ „ვიკიპედიაში“.

დასასრული მე-5 გვერდზე

წამებული პრეზიდენტის 85 წელი

მე-4 გვერდიდან

მოგვიანებით, გაჩნდება მტკიცებულებები, რომ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ მოწყობილ ამბოხებას ხელს საბჭოთა ჯარები უწყობდნენ.

1992 წლის 15 დეკემბერს, რუსული გაზეთი „მოსკოვსკიე ნოვოსტი“ აქვეყნებს წერილს, რომლის თანახმადაც, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ყოფილ ვიცე-ხელმძღვანელს, გენერალ-პოლოვნიკ სუფიან ბეპაევს სამხედრო ოპოზიციის დასახმარებლად, თბილისში ქვედანაყოფი ჰყავდა გაგზავნილი.

რუსული გამოცემის მტკიცებით, ამ დანაყოფის ჩაურევლად, გამსახურდიას მომხრეებს გამარჯვება გარანტირებული ჰქონდათ.

ამავე წერილის თანახმად, 1991 წლის 28 დეკემბერს, ოპოზიციამ სატელევიზიო ანძაც, სწორედ რუსი სამხედროების ხელშეწყობით აიღო.

ამის შემდეგ, ერთ დროს მზიან და ია-ვარდების საქართველოში, მოვლენები „არამზიანად“ ვითარდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ძალაუფლებას ხელში სამხედრო საბჭო იღებს, რომელიც ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტის წოდებას ართმევს.

მოგვიანებით, სამხედო საბჭო თავს „სახელმწიფო საბჭოდ“ აცხადებს და სახელმწიფოს მეთაურობას, საქართველოს ცეკა-ს ყოფილ მდივანსა და საბჭოთა კავშირის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს სთავაზობს.

თვითმფრინავი, რომელსაც ედუარდ შევარდნაძე ჩრდილოეთიდან სამშობლოში ჩამოჰყავს, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, 1992 წლის 7 მარტს ეშვება.

„ძალაუფლების შეცვლა განხორციელდა, როგორც Fait Accompli ანუ ფორმალური რეფერენდუმისა და არჩევნების გარეშე. შესაბამისად, 1992 წლის შემოდგომამდე, ედუარდ შევარდნაძე ქვეყნის არაფორმალური მმართველი იყო. შემოდგომაზე კი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს“, – აღნიშნულია „ვიკიპედიაში“.

სხვათა შორის, ზუსტად იმ დროს, როცა თბილისში ტყვიები ზუზუნებდა ანუ 1991 წლის 25 დეკემბრიდან 1992 წლის 6 იანვრამდე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დე-იურედ 20-მა სახელმწიფომ, მათ შორის, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სცნო.

„სამხედრო გადატრიალების დღეებსა და მის შემდეგაც, როგორც თბილისში, ასევე, საქართველოს სხვა ქალაქებში, სისტემატურად მიმდინარეობდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეთა საპროტესტო, მშვიდობიანი მიტინგები და დემონსტრაციები. არსებობს გადაუმოწმებელი მტკიცებულებები მომიტინგეთა წამებასა და დახვრეტაზე.

სამხედრო გადატრიალების შემდეგ, „მხედრიონმა“ და ეროვნულმა გვარდიამ წამოიწყეს გამსახურდიას მომხრე რეგიონების დარბევა, რამაც განსაკუთრებით მწვავე სახე სამეგრელოსა და აფხაზეთში მიიღო. ამის გამო, დასავლეთ საქართველოში, წინააღმდეგობის მოძრაობა გაძლიერდა და თანდათან შეიარაღებულ წინააღმდეგობად გადაიქცა“, – იუწყება იმდროინდელი პრესა, რომელიც სახელმწიფო საბჭოს არ სწყალობდა.

ცნობისთვის: საქართველოდან განდევნის მიუხედავად, ზვიად გამსახურდია პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა. ყოველ შემთხვევაში, ცნობილია, რომ 1992 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ფინეთის პარლამენტის საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფმა და ადამიანთა უფლებების საერთაშორისო საზოგადოებამ ავსტრიასა და ფინეთში მიიწვიეს. ორივე ქვეყანაში გამსახურდიამ არათუ პრესკონფერენციები გამართა, არამედ, პარლამენტარებსა და სხვა ოფიციალურ პირებსაც შეხვდა.

პარალელურად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონსა თუ რაიონში, გამსახურდიასა და სახელმწიფო საბჭოს მომხრეებს შორის დაპირისპირება გრძელდებოდა.



ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ინციდენტი 1992 წლის 24 ივნისს, თბილისში მოხდა – ამ დღეს გამსახურდიას შეიარაღებულმა მხარდამჭერებმა სახელმწიფო ტელევიზიის ცენტრი აიღეს და რადიოგზავნილიც გააგზავნეს:

„ლეგიტიმური მთავრობა აღდგენილია. წითელი ხუნტას აღსასრული ახლოვდება!“

ამ გზავნილიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ, ეროვნულმა გვარდიამ გამსახურდიას მომხრეები ტელევიზიიდან გამოდევნა.

ქვეყანაში „ზვიადიზმის“ ჩასახშობად მასობრივი ეგზეკუცია იწყება, რასაც საერთაშორისო ორგანიზაციები მკაცრად აკრიტიკებენ და მიანიშნებენ, საქართველოში ადამიანის უფლებები ირღვევაო, თუმცა მიუხედავად ამისა, ქვეყანამ მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე ფორმალური აღიარება მაინც მოიპოვა.

* * *

1993 წლის 24 სექტემბერი. სენაკში თვითმფრინავი ეშვება, რომელსაც დევნილი პრეზიდენტი საქართველოში ჩამოჰყავს. სენაკიდან ზვიად გამსახურდია ზუგდიდში მიდის, სადაც ე.წ. დევნილ მთავრობას აყალიბებს და აცხადებს, რომ სამხედრო ხუნტის წინააღმდეგ მშვიდობიან წინააღმდეგობას არალეგალურად გააგრძელებს.

პარალელურად, ზვიად გამსახურდია ცდილობს, ანტიშევარდნაძისტული კოალიცია შექმნას, რომელიც, ძირითადად, სამეგრელოსა და აფხაზეთის მოსახლეობას ეყრდნობა.

საქართველოში დაბრუნებული ზვიად გამსახურდიას უმთავრესი მოთხოვნა ხელახალი არჩევნების ჩატარებაა, თუმცა მას შემდეგ, რაც ანტიშევარდნაძისტული კოალიციის მებრძოლები ხელთ ე.წ. სამთავრობო შენაერთების მიერ დატოვებულ, დიდი რაოდენობით სამხედრო ამუნიციას იგდებენ, ხელახალი არჩევნების მოთხოვნა დღის წესრიგიდან იხსნება...

გამსახურდიას მომხრეები უკვე რამდენიმე მნიშვნელოვან ქალაქსა და სატრანსპორტო კვანძს, მათ შორის, ფოთსაც აკონტროლებენ.

„ფოთის ხელში ჩაგდებამ რუსეთის, სომხეთისა (რომელიც სრულად საქართველოს პორტებზე იყო დამოკიდებული) და აზერბაიჯანის ინტერესები საფრთხეში ჩააგდო. ამ სიტუაციაში, სამივე ქვეყანამ ერთგვარი, „ქუიდ პრო ქუო“ სვლა გააკეთა და მხარი შევარდნაძის მთავრობას დაუჭირა, რომელიც თავის მხრივ დასთანხმდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაწევრიანებას. მხარდაჭერა სომხეთისა და აზერბაიჯანისგან მხოლოდ პოლიტიკური იყო. რუსეთმა კი სწრაფად მოახდინა ჯარების მობილიზება საქართველოს ცენტრალური მთავრობის დასახმარებლად. 20 ოქტომბერს, დაახლოებით, 2 000 რუსი ჯარისკაცი, რკინიგზის დაცვის საბაბით, საქართველოს საზღრებს კვეთს და ე.წ. სამთავრობო ჯარს იარაღით ეხმარება. 2013 წლის 6 ნოემბერს, „ზვიადისტები“ ზუგდიდს კარგავენ“, – აღნიშნულია ისტორიულ წყაროებში.

1993 წლის ოქტომბრის დამლევს, პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და მისი რამდენიმე მხარდამჭერი იძულებულნი ხდებიან, თავი სამეგრელოს მთიან ნაწილს შეაფარონ.

1993 წლის 31 დეკემბერს, საქართველოს პირველ პრეზიდენტი ხობის რაიონის სოფელ ხიბულაში იღუპება.

„გამსახურდიას ტყვია თავში აქვს მოხვედრილი“, – იუწყებოდა ბრიტანული მედია.

1994 წლის თებერვალში, პრეზიდენტის ცხედარს გროზნოში გადაასვენებენ. პრეზიდენტის გარდაცვალების მიუხედავად, მის მიმართ სისხლის სამართლის დევნა კიდევ ათი წელი გაგრძელდება და საქმე მხოლოდ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, კერძოდ, 2004 წლის იანვარში შეწყდება.

2009 წელს, პრეზიდენტის პირველი ვაჟის, კონსტანტინე გამსახურდიას ხელმძღვანელობით, პარლამენტში, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი დროებითი კომისია შეიქმნება.

ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ, კომისია ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებაში ახალ ფაქტებსა და გარემოებებს გამოავლენს.

„კომისიის მიერ მოპოვებული მასალები და მათზე დაყრდნობით გაკეთებული დასკვნები აბათილებს თვითმკვლელობის ვერსიას, რომელიც ერთადერთ მსჯელობის საგნად იქცა 1994-2004 წლებში, პროკურატურის მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეში“, – იტყვის 2011 წელს, პარლამენტში გამოსვლისას კონსტანტინე გამსახურდია.

2013 წლის 26 სექტემბერს, ზვიად გამსახურდიას საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭება.

2015 წელს, ცნობილი ხდება, რომ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების საქმეზე გამოძიება განზრახ მკვლელობის მუხლით განახლდა. გავა რამდენიმე წელი და პირველი პრეზიდენტის ვაჟები მამის მკვლელობის გამოძიების დასრულების მოთხოვნით, აქციას გამართავენ და იტყვიან, რომ მთავარი პროკურატურა პირველი პრეზიდენტის მკვლელობის გამოძიებას განზრახ აჭიანურებს.

ამის მერე კიდევ ერთი ცუდი ამბავი მოხდება – ცოტნე გამსახურდიას თავს დაესხმებიან და სასიკვდილოდ სცემენ. მართალია, პირველი პრეზიდენტის ვაჟი სიკვდილს დაამარცხებს, მაგრამ ცოტნე სრულად გამოჯანმრთელებული დღესაც არაა...

* * *

ერთი სიტყვით, პოლიტიკას თავისი უცნაური კანონები აქვს, კანონები, რომელთა მიხედვითაც, თუკი საჭიროა, ადამიანის სიკვდილიც კი გამართლებულია ანუ იგივე დასავლეთს რომ მოენდომებინა, ზვიად გამსახურდიას ბედი, შესაძლოა, სხვანაირად წასულიყო, მაგრამ ზოგს ჰგონია, რომ მაშინ ცივილურმა სამყარომ ზურგი გვაქცია.

საბედნიეროდ, დღეს სხვა მოცემულობაა – დასავლეთს საქართველო „ფეხზე აღარ ჰკიდია“. ბოლოს და ბოლოს, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი გვაქვს. ეს, ერთი შეხედვით, შესაძლოა, ვინმესთვის არაფერს ნიშნავს, მაგრამ ფაქტია – ევროპა საქართველოს ჩრდილოეთელი დათვის პირისპირ არ დატოვებს. ზვიად გამსახურდია ამ დღეს რომ მოსწრებოდა, ალბათ, ყველაზე ბედნიერი ადამიანი იქნებოდა, მაგრამ... ცხოვრებას თავისი წესები აქვს, წესები, რომელსაც საქართველოს პირველი პრეზიდენტი შეეწირა...

რა ქონებას ფლობს დეპუტატი, რომელიც საარჩევნო სიაში ქალთა კვოტებს აუქმებს

მაკა რუხაძე

„გირჩის“ საპარლამენტო ინიციატივა საარჩევნო სიაში ქალთა კვოტების გაუქმების შესახებ, პარლამენტის ბიურომ უკვე მიიღო. ამ ინიციატივას მხარი მმართველმა პარტიამაც დაუჭირა და შედეგად, სავალდებულო აღარ იქნება, რომ სიაში ყოველი მეოთხე ქალი იყოს. „გირჩის“ ლიდერის განცხადებით, თუ ნებისმიერ პროფესიაში კვოტები იქნება შემოღებული სქესის, სექსუალური ორიენტაციის მიხედვით, ეს გაანადგურებს იმის რეპუტაციას, ვის სასარგებლოდაც იქნება მიღებული. იაგო ხვიჩიას განცხადებით, ადამიანები, სქესის მიუხედავად, თანასწორნი არიან.
სულ სხვაგვარად ფიქრობს, პარლამენტის წევრი, რომან გოცირიძე, რომელმაც Facebook-ის საკუთარ გვერდზე დაწერა, რომ მაჟორიტარული სისტემის გაუქმებით, „ოცნების“ ფულიანმა კაცებმა დაკარგეს პარლამენტში მოხვედრის შანსი, ამიტომ ქალთა კვოტის გაუქმებით, კვლავ გამოთავისუფლდება მათთვის ადგილები. რომან გოცირიძეს მიაჩნია, რომ „გირჩმა“ ხელისუფლების თამაში ითამაშა, თუმცა მიზეზი მათ ტრადიციულ ეგზოტიკურ ახირებებში უნდა ვეძებოთ, თუ „ოცნებასთან“ გარიგებაში, ამას დრო გვიჩვენებსო.
თემის აქტუალობიდან გამომდინარე, „ვერსია“ „გირჩის“ ლიდერის, იაგო ხვიჩიას ქონებრივ დეკლარაციას გთავაზობთ.

„გირჩის“ ლიდერის, იაგო ხვიჩიას ქონებრივი დეკლარაცია

ვიდრე იაგო ხვიჩიას დეკლარაციას გაგაცნობთ, შეგახსენებთ, რომ 2018 წლის 23 ივნისიდან, ის „ახალი პოლიტიკური ცენტრი – გირჩის“ თავმჯდომარეა.

დაიბადა 1982 წლის 19 მაისს, მარტვილში. 2004 წელს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.

ის არის იურიდიული კომპანია „თბილისი Legal Consulting“-ის დამფუძნებელი და ადვოკატი; იყო „ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის“ ლიცენზიებისა და ნებართვების დანერგვის პროექტის იურისტი. მოგვიანებით, იაგო ხვიჩია მუშაობდა თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის იურისტად. იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსის მოადგილე, შემდგომ, 2009-2013 წლებში – იურიდიული დეპარტამენტის უფროსი გახლდათ.

2015 წელს, შეუერთდა ახლადშექმნილ პოლიტიკურ პარტია „გირჩს“. 2018 წლის 23 ივნისიდან, „გირჩის“ თავმჯდომარე, ხოლო 2020 წლიდან – საქართველოს მეათე მოწვევის პარლამენტის წევრია.

ქონებრივი დეკლარაცია, სულ ბოლოს, 2024 წლის 28 თებერვალს ჩააბარა. დეკლარაციიდან ვიგებთ, რომ თბილისში, აჰმედ ჯავადის მეორე ჩიხში, 50%-იანი წილით ფლობს 129.52 კვ.მ. ფართობის ბინას, რომელიც განქორწინების შემდეგ ხვდა წილად. შენიშვნის გრაფაში კი მითითებული აქვს: **„მოცემული ბინა არ არის ახალი შეძენილი. ქორწინების პერიოდში წარმოადგენდა თანასაკუთრებას და ვცხოვრობდი იქ. ვინაიდან აღარ ვიმყოფები ქორწინებაში, შესაბამისად მერგო აღნიშნული ქონების 50%“.**

დეკლარაციაში მითითებულია, რომ იაგო ხვიჩია 20%-იან წილს ფლობს თბილისში, ზურაბ ჟვანიას ქუჩაზე, 75.52 კვ.მ. ფართობის ბინაში. დანარჩენ წილებს ფლობენ მისი თანაპარტიელები – ვახტანგ მეგრელიშვილი, ლევან ჯგერენაია, ალექსანდრე რაქვიაშვილი და ჰერმან საბო.

გარდა ამისა, იაგო ხვიჩიას საკუთრებაშია მარტვილში, 2 500 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი, რომელიც 2017 წელს, მემკვიდრეობით ერგო. ფლობს მსუბუქ ავტომანქანა Mercedes-E class-ს, რომელიც 2023 წელს, 8 500 აშშ დოლარად შეუძენია.

რაც შეეხება შპს „ლეგან კონსალტინგს“, რომლის დირექტორადაც ფიქსირდება, დეკლრაციის შენიშვნის გრაფაში წერს, რომ უკვე რამდენიმე წელია, კომპანია არ ფუნქციონირებს. ამ კომპანიიდან არ მიუღია ხელფასი, სარგებელი და სხვაგვარი ბენეფიტი და რომ მხოლოდ ტექნიკური საკითხია, რის გამოც ჯერ კიდევ ამ შპს-ს დირექტორად ფიქსირდება.

ქონებრივი დეკლარაციიდან ისიც ირკვევა, რომ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იაგო ხვიჩიას, როგორც საქართველოს პარლამენტის დეპუტატის წლიური შემოსავალი 57 309 ლარი, ხოლო მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი პოლიტიკური ცენტრის“ თავმჯდომარის წლური შემოსავალი – 6 500 ლარია.

რა დარღვევები გამოვლინდა სამომხმარებლო, ინდუსტრიულ და სამშენებლო პროდუქტებში

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის დასკვნა – ეკონომიკური საქმიანობის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური სამომხმარებლო, ინდუსტრიული და სამშენებლო პროდუქტებით დაინტერესდა. ესაა ეკონომიკური საქმიანობის აუდიტი, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა. სამომხმარებლო, ინდუსტრიული და სამშენებლო პროდუქტები მრავალფეროვანია და მერყეობს ყოველდღიური საყოფაცხოვრებო ნივთებიდან – მსხვილ მანქანა-დანადგარებამდე. ბაზრის ეფექტიანი ზედამხედველობა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ საქართველოს ბაზარზე არსებული პროდუქტები იყოს უსაფრთხო, ხარისხიანი და აკმაყოფილებდეს შესაბამის მარეგულირებელ მოთხოვნებს. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესაბამისად, საქართველომ, საკუთარი პრიორიტეტების გათვალისწინებით, აიღო ვალდებულება ეტაპობრივად დაუახლოვოს კანონმდებლობა ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობას. ამ ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა და დაამტკიცა საზედამხედველო პროდუქტების ტექნიკური რეგლამენტები. პროდუქტების ტექნიკურ რეგლამენტებთან შესაბამისობა, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, დაექვემდებარა სსიპ „ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს“ ზედამხედველობას. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა სისტემურ დონეზე შეაფასა სააგენტოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობა და მთელი რიგი დარღვევები გამოავლინა.

სტრატეგიული და წლიური დაგეგმვის არარსებობა

აუდიტის შედეგად ირკვევა, რომ გრძელვადიანი სტრატეგიული და წლიური გეგმების არარსებობის გამო, არ არის განსაზღვრული ბაზარზე ზედამხედველობის გრძელვადიანი და საშუალოვადიანი მიზნები და მკაფიო საოპერაციო ჩარჩო, რასთან მიმართებითაც, სააგენტო შეძლებდა ეფექტიანი დეტალური სამოქმედო გეგმების შედგენას და განხორციელებას. მეტიც, გრძელვადიანი და საშუალოვადიანი დაგეგმვის არარსებობის გამო, რთულდება იმ გამოწვევების მართვა, რომლებიც სწრაფად ცვალებად გარემო პირობებში ყალიბდება.

„სააგენტოს 2020, 2021 და 2022 წლების პროგრამულ ბიუჯეტებში მითითებული აქვს საქმიანობის საბოლოო შეფასების ინდიკატორები, თუმცა ზოგადი ხასიათის გამო, აღნიშნული არ წარმოადგენს საზედამხედველო საქმიანობის შედეგების შეფასების გაზომვად ინდიკატორებს. საქმიანობის შეფასების კონკრეტული ინდიკატორების გარეშე, სააგენტო ვერ უზრუნველყოფს განხორციელებული საქმიანობის ობიექტურ შეფასებას და საკუთარი საქმიანობის ეფექტიანობის გაზომვას, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დაგეგმილი აქტივობების განხორციელების მიმართ ანგარიშვალდებულების შემცირება, ასევე სამომავლო აქტივობებზე რესურსების არაეფექტიანი განაწილება და პრიორიტეტების არასწორი განსაზღვრა“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების მეთოდოლოგიის არარსებობა

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ თავისი საქმიანობის დასაგეგმად და განსახორციელებლად, სააგენტო ხელმძღვანელობს კოდექსითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით, თუმცა არ გააჩნია რამე სახის ინსტრუქცია, ან მეთოდოლოგია ბაზარზე ზედამხედველობის დასაგეგმად და განსახორციელებლად საჭირო ინფორმაციის კატეგორიების, მათი შეგროვების, დამუშავებისა და გამოყენების შესახებ.

„კონკრეტული ინსტრუქციის არარსებობისა და მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების პროცესის არასათანადო დოკუმენტირების გამო, შესაძლოა, სააგენტოს თანამშრომლებმა გამოიყენონ ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, ანალიზის და დოკუმენტირების განსხვავებული მიდგომები, რაც სავარაუდოდ, ხელს შეუშლის ინსტიტუციური ცოდნის დაგროვებას და შეგროვებულ მონაცემთა ეფექტიან გამოყენებას ბაზარზე ზედამხედველობის პროცესთან დაკავშირებით, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად“.

სხვა სახელმწიფო სუბიექტებთან არასათანადო კოორდინაცია

სააგენტო თანამშრომლობს ყველა სათანადო უწყებასთან, ინფორმაციის გაცვლის მიზნით, თუმცა მათ საზედამხედველო არეალში შემავალი პროდუქტებით გამოწვეული ჯანმრთელობის დაზიანებების შესახებ მონაცემების სტატისტიკას არც ერთი უწყება არ აწარმოებს.

„აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ვერ მოიპოვა მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ სააგენტო თანამშრომლობს ჯანდაცვის სექტორთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, სსიპ „საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოსთან“ და სხვა შესაბამის უწყებებთან, ქვეყანაში მსგავსი მონაცემების აღრიცხვისა და სისტემატიზაციის დაწყების მიზნით. ამგვარი თანამშრომლობის შედეგად მიღებული მტკიცებულებები, შესაძლოა, გამხდარიყო ბაზრის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველი – რეალიზაციის შეჩერება, ამოღება, გამოთხოვა, განადგურება“.

აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ სააგენტოს დღემდე არ აქვს რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასების თანამედროვე სისტემა და ამ მიმართულებით, DCFTA-ით განსაზღვრული მიზნის მიღწევის პროგრესი არ შეინიშნება. ეს ამცირებს საქართველოში სარისკო პროდუქტების იდენტიფიცირების გზით ბაზარზე ზედამხედველობის ეფექტიანობას და სააგენტოს შეზღუდული რესურსების გამოყენების პროდუქტიულობას.

შემოწმებების დაგეგმვის ნაკლოვანებები

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ სააგენტოს კვარტალური გეგმები არ ითვალისწინებს ტექნიკური რეგლამენტებით გათვალისწინებული ყველა პროდუქტის კატეგორიის შემოწმებას. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ სააგენტოში არ არსებობს შესაფერისი დოკუმენტური მტკიცებულებები შესამოწმებლად შერჩეული პროდუქტებისა და ეკონომიკური ოპერატორების შემოწმების პრიორიტეტულობაში დასარწმუნებლად.

„სააგენტოს კვარტალური გეგმები არ მოიცავს ბაზარზე ზედამხედველობის დეტალური დაგეგმვისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, რის გამოც აღნიშნული გეგმები არსებული სახით არ შეიძლება ჩაითვალოს ეფექტიან სახელმძღვანელო დოკუმენტად, ერთი მხრივ, შემოწმებების უშუალოდ განმახორციელებელი პერსონალისათვის, ხოლო მეორე მხრივ, მენეჯმენტისათვის“.

გარდა ამისა, ისიც ირკვევა, რომ სააგენტოს არ გააჩნია მოპოვებული და დამუშავებული ინფორმაცია ბაზარზე ცალკეული საზედამხედველო პროდუქტის წილის შესახებ, მათგან გამოწვეული დაზიანებების შესახებ და/ან სხვა არგუმენტების არსებობის შესახებ, რომლის საფუძველზეც შეიძლებოდა მიღებულიყო ინფორმირებული და დასაბუთებული გადაწყვეტილება კონკრეტული ტიპის პროდუქტის კვარტალური შემოწმებების გეგმებში შეტანის ან გეგმის მიღმა დატოვების შესახებ.

ამასთან, შერჩევის მეთოდის არარსებობის გამო, ვერ დგინდება, რის საფუძველზე განსაზღვრავს სააგენტო შესამოწმებელი პროდუქტის რაოდენობებს და ეკონომიკურ ოპერატორებს.

სააგენტოს მიერ საზედამხედველო ბაზრის მოცვის ნაკლოვანებები

აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ სააგენტოს ტექნიკური შემოწმებები ჩატარებული აქვს მხოლოდ პროდუქტის რეალიზაციის ადგილებიდან და საქართველოს საბაჟო კონტროლის ზონებიდან აღებული ნიმუშის

დასასრული მე-8 გვერდზე

რა დარღვევები გამოვლინდა სამომხმარებლო, ინდუსტრიულ და სამშენებლო პროდუქტებში

მე-7 გვერდიდან

ლაბორატორიული შემოწმებების ან პროდუქტის გამოცდის გზით. რაც შეეხება რეალიზაციის ადგილებში პროდუქტის ნიმუშის არალაბორატორიულ ტექნიკურ შემოწმებას, მიუხედავად იმისა, რომ სააგენტოს გააჩნია შესაბამისი მანდატი, აუდიტის პერიოდში, სააგენტოს ამ სახის ზედამხედველობა არ განუხორციელებია.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, სააგენტოს არასდროს ჩაუტარებია საქართველოს ბაზარზე განთავსებული შემდეგი საზედამხედველო პროდუქტების ტექნიკური/ლაბორატორიული შემოწმება:

- თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის ახალი გამაცხელებლები;
- წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობები;
- წნევის ქვეშ მყოფი მარტივი ჭურჭლები;
- შეცდომაში შემყვანი პროდუქტები;
- ბაზარზე ბავშვების მოხმარებისთვის რეზისტენტული სანთებელები;
- ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;
- აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობები;
- მანქანა-დანადგარები;
- პოტენციურად ფეთქებადსაშიშ გარემოში გამოსაყენებელი მოწყობილობები და დამცავი სისტემები.

ამასთან, სააგენტო სრულად არ ფლობს ინფორმაციას მის მანდატში შემავალი თითოეული საზედამხედველო პროდუქტის ლაბორატორიული მომსახურებების შესაძლო მიმწოდებლებისა და მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.

„სააგენტო არ გეგმავს ყველა საზედამხედველო პროდუქტის რეგულარულ ლაბორატორიულ შემოწმებებს და არ აწარმოებს აქტიურ საინფორმაციო კამპანიას მომავალში ამ ტიპის შემოწმებების გააქტიურებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, დაინტერესებული მხარეები, მათ შორის, ლაბორატორიული მომსახურებების პოტენციური მიმწოდებლები არ არიან ინფორმირებულები საქართველოში აკრედიტებული ლაბორატორიების შესაბამისი ტიპის მომსახურებებზე მოთხოვნის არსებობაზე და მისგან გამომდინარე სარგებელზე. ეს განაპირობებს საქართველოში შესაბამისი ლაბორატორიული მომსახურებების განვითარებისა და მიწოდების მიმართ პოტენციური მიმწოდებლების მხრიდან ინტერესის ნაკლებობას“.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ტექნიკური შემოწმებების არალაბორატორიული ფორმების განუვითარებლობის გამო, საზედამხედველო პროდუქტი უშუალოდ სააგენტოს მიერ ტექნიკურად არ მოწმდება.

იმპორტის წინასწარი შეტყობინებების შემოწმების ნაკლოვანებები

იმპორტის წინასწარი შეტყობინებების პრაქტიკასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ევროკომისიის მიერ 2023 წლის 1 თებერვალს გამოქვეყნებული სამუშაო დოკუმენტი, სადაც ხაზგასმულია, რომ საქართველოს იმპორტის წინასწარი შეტყობინების სისტემა არ შეესაბამება ევრორეგულაციებს.

„2021-2022 წლებში, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც სარისკოდ მიჩნეული იმპორტის წინასწარი შეტყობინებები სისტემამ ავტომატურად დაადასტურა სამი სამუშაო დღის გასვლის შემდგომ. შესაბამისად, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემაში ინტეგრირებულ რისკის პროფილთან თანხვედრილი პროდუქტი 17 შემთხვევაში საქართველოს ბაზარზე დაიშვა სააგენტოს შემოწმების გარეშე. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ავტომატური დადასტურებების პროცენტული წილი მთლიან შეტყობინებათა რაოდენობაში მაღალი არ არის, რჩება რისკი, რომ მოხდება ერთჯერადად

დიდი რაოდენობის შეუსაბამო პროდუქტის შემოტანა საქართველოს ბაზარზე“.

შესაბამისად, სააგენტოში არსებული კონტროლის მექანიზმები არასათანადოა იმ თვალსაზრისით, რომ უზრუნველყოფილი იყოს სარისკო პროდუქტის შესახებ თითოეული იმპორტის წინასწარი შეტყობინების შემოწმება და დროული გადაწყვეტილების მიღება.

ბაზარზე ზედამხედველობის ეფექტიანობის ხელშემშლელი ფაქტორები

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ბაზარზე ზედამხედველობის პროცესთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ჯარიმების გამოყენება მიმართულია, როგორც საზედამხედველო პროდუქტების, ისე ეკონომიკური ოპერატორების განსხვავებულ და ფართო სპექტრზე, თუმცა ამის პარალელურად, კანონი არ ითვალისწინებს ჯარიმების შესაფერის-პროპორციულ დიაპაზონს და ამავდროულად, მკაფიო კრიტერიუმებს, რომელთა მხედველობაში მიღებითაც მოხდება აღნიშნულ დიაპაზონში ჯარიმის კონკრეტული ოდენობის განსაზღვრა, კონკრეტული ეკონომიკური ოპერატორის მიმართ, კონკრეტული სამართალდარღვევის შინაარსის მხედველობაში მიღებით.

მეტიც, აუდიტის შედეგად ისიც გაირკვა, რომ კანონი არ ითვალისწინებს დაჯარიმებასთან ერთად იმ მოვალეობის შესრულების დაკისრებას, რომლის შეუსრულებლობისთვისაც ხდება ჯარიმის შეფარდება, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში, ჯარიმების გაზრდილ ოდენობას.

რეკომენდაცია

მას შემდეგ, რაც სახელმწიფო აუდიტორებმა დარღვევები გამოავლინეს, მათ გამოსასწორებლად რეკომენდაციებიც შეიმუშავეს, რომლებიც სსიპ „ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტომ“ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს.

„სააგენტომ, ბაზარზე ზედამხედველობის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, უზრუნველჰყოს გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება, რომელშიც განსაზღვრული იქნება ბაზარზე ზედამხედველობის პოლიტიკა და პრიორიტეტები, ორგანიზაციული განვითარების ხედვა და მიდგომები, გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის და რესურსების განაწილების კომპონენტები, ცვალებადი გარემო (მათ შორის, ონლაინ ბაზრის ზედამხედველობის საკითხები), მასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე რეაგირება და სხვა.

სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობის ობიექტური შეფასების, მისი ეფექტიანობის გაზომვის, ანგარიშვალდებულების გაზრდისა და სამომავლო აქტივობებზე რესურსების ეფექტიანი განაწილების მიზნით, სააგენტომ, საუკეთესო პრაქტიკის მხედველობაში მიღებით, შეიმუშაოს საქმიანობის ობიექტური შეფასების ინდიკატორები, რითაც შესაძლებელი იქნება სააგენტოს მიზნების და ამოცანების მიღწევის პროგრესის მონიტორინგი და შეფასება“.

რაც შეეხება ბაზარზე ზედამხედველობის ეფექტიან დაგეგმვასა და განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაციის განსაზღვრის, მათი შეგროვების, დამუშავების, ანალიზისა და დოკუმენტირების ერთგვაროვანი და გამართული პროცედურების უზრუნველსაყოფად, სააგენტომ უნდა შეიმუშაოს მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს ბაზარზე ზედამხედველობის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის საჭირო ინფორმაციის (მათ შორის, საზედამხედველო პროდუქტების საქართველოს ბაზარზე წილის, მისგან გამოწვეული დაზიანებებისა და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლების შესახებ) შეგროვების, დამუშავების, დოკუმენტირების და გამოყენების პროცედურებს.

„ბაზარზე ზედამხედველობის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად და შეუსაბამო საზედამხედველო პროდუქტით გამოწვეული ჯანმრთელობის დაზიანებების შესახებ ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და ტენდენციების გამოკვეთის მიზნით, სააგენტომ უნდა შეიმუშაოს ჯანმრთელობის დაცვისა და მომხმარებელთა დაცვის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სტრატეგია. აღნიშნული თანამშრომლობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია სააგენტომ გაითვალისწინოს რისკის შეფასებისა და საზედამხედველო რესურსების განაწილების პროცესში.

ბაზარზე ზედამხედველობის პროცესში, სააგენტოს რესურსების პროდუქტიული გამოყენების, ასევე პროდუქტის იმპორტის გამარტივების მიზნით, სააგენტომ შეიმუშაოს ბაზარზე ზედამხედველობისთვის აუცილებელი რისკის შეფასების სისტემის შექმნისა და დანერგვის პროექტი, რომელშიც დასაბუთებული იქნება ამ სისტემის მნიშვნელოვნება და საჭირო რესურსები სააგენტოს მანდატის ეფექტიანად განსახორციელებლად“.

პროაქტიული შემოწმებების მიმართულებით, სააგენტოს საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, სააგენტომ ბაზარზე ზედამხედველობასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი პერსონალისა და მენეჯმენტისთვის სახელმძღვანელოდ გამოსაყენებელი ბაზარზე ზედამხედველობის გეგმები უნდა შეიმუშაოს საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი კომპონენტების გათვალისწინებით, რაც მოიცავს შესამოწმებელი პროდუქტებისა და შემოწმებების გეგმას; ადამიანურ რესურსებს; ფინანსურ რესურსებს; რისკის შეფასების პრინციპებს; ლაბორატორიული შემოწმებების გეგმას; კომუნიკაციის სტრატეგიას; დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის გეგმას.

„ბაზარზე ზედამხედველობის პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით, სააგენტომ უნდა შეისწავლოს ტექნიკური შემოწმებების არალაბორატორიული ფორმების გამოყენების საუკეთესო/კარგი პრაქტიკა და განიხილოს აღნიშნული შემოწმებების დაგეგმვისა და განხორციელების შესაძლებლობა“.

სამართალი

№7 3 აპრილი 2024 წ

სანაგვეზე ნაპოვნი ჩვილი და კრიმინალი მხატვარი

უცნაური დანაშაული, რომელიც 70 წლის მოხუცმა გამოააშკარავა

ბათო ჯაფარიძე

იმის მიუხედავად, რომ საქართველოში მხატვრებით ვამაყობთ, ამ სფეროში მსოფლიო მასშტაბის ხელოვანები თითზე ჩამოსათვლელები გვყავს. ჩამოთვლას არ დავიწყებ, მსოფლიო აღიარებისთვის ნიკალაც კმარა, თუმცა ბევრს ეგონა და ჰგონია, რომ იმავე ფიროსმანზე არანაკლებ ხატავდა, მაგრამ მსოფლიო აღიარება ვერ მოიპოვა. მხატვრებს შორის ერთგვარი შეჯიბრი და ფარული მტრობა ყოველთვის იყო, აიღეთ მოდილიანი და პიკასო, ძლევამოსილი ოსმალეთის იმპერიის კარის მხატვრები, რომლებიც ერთმანეთის მოწამვლასა და მოკვლას არ ერიდებოდნენ, ოღონდ კი სულთნის კარზე თავად დაწინაურებულიყვნენ, რომის იმპერიის მხატვრები თუ მოქანდაკეები... ასე გრძელდებოდა საუკუნეები და... ასე ვეღარ გრძელდება, რადგან ძნელია, ისეთი რამ დახატო, იგივე ფიროსმანს, პიკასოს, მოდილიანს, ვან გოგს აჯობო. ვერავინ გაიმეორებს „მონა ლიზას“ და ვერავინ შექმნის ახალ „მზესუმზირებს“, ვერც „მეთევზეს“ დახატავს ვინმე ფიროსმანისეულად...

მილიციის განყოფილებაში 70 წელს მიტანებული კაცი გამოცხადდა და უცნაური რამ თქვა – სამი ღამეა, ბავშვის ტირილი არ მაძინებდა და ორი დღე გავიდა, ტირილი აღარ მესმის, რაღაც კრიმინალი ხდება და ვერ ვხვდები, რაო. 1982 წელი იდგა და შესაბამისად, პერიფერიაში, სადაც მთელ რაიონში მხოლოდ 4-5 კორპუსი იდგა, კრიმინალი და თანაც ჩვილის მონაწილეობით, წარმოუდგენელად ჩანდა. ზოგადად, პერიფერიებში მძიმე დანაშაული ნაკლებად ხდებოდა. სამართალდამცავებმა კაცს დაუყვავეს, დაჰპირდნენ, ყველაფერს გავარკვევთო და განყოფილებიდან მისი გასვლისთანავე ეს საქმე დაივიწყეს. არადა, მამაკაცი ამტკიცებდა, ჩვენს კორპუსში ყველას ვიცნობ, ჩვილი არავის ჰყავს და ის სამი დღე, აბა, რა მესმოდაო? ძალოვნებმა კაცი ღიმილით გააცილეს, მის ასაკზე ცოტა იხუმრეს და... მეზობელი რაიონის განყოფილებიდან ტელეფონოგრამა შემოვიდა, ახალშობილი ვიპოვეთ, აქ არავის გაუჩენია, უფრო სწორად, ვინც გააჩინა, ყველამ შინ წაიყვანა და თქვენთან ხომ არ არის ვინმე ისეთი, ვინც სამშობიაროდან ბავშვიანად გაქრაო...

სამართალდამცავებმა ერთმანეთს გადახედეს და საბედნიეროდ, მოხუცის მისამართი რამდენიმემ იცოდა. მას მაშინვე სახლში დაადგნენ და ამჯერად, ყველაფრის დეტალურად გახსენება მოსთხოვეს.

„ასაკის მიუხედავად, ფხიზელი ძილი მაქვს, ოდნავ ფაჩუნზეც კი მეღვიძება. ჰოდა, როგორც გითხარით, სამი ღამე ბავშვის ტირილმა არ დამაძინა. ცხოვრებაში ბევრი მინახავს და გამიგონია, შვილიშვილებიც ჩემს ხელში გაიზარდნენ. არ იყო ეს დიდი ბავშვის ტირილი, რამდენიმე დღის ბავშვი ტიროდა, ყველაზე დიდი, ერთი კვირის. ჰოდა, ბოლო ორი დღეა, ბავშვი აღარ ტირის, არადა, როცა ჭირვეულობა იწყება, ორი კვირა მაინც გრძელდება, სანამ ბავშვი ზნეს არ იცვლის. თან, მეზობლებს ვეკითხებოდი, ჩვილი ვის ჰყავს-მეთქი და ორმა, სამმა მთხრა, ტირილის ხმა ჩვენც გვესმოდა, მაგრამ ჩვილი არავის უნდა ჰყავდესო“, – მარტივად მოჰყვა მოხუცმა.

გამომძიებლებმა სხვა მაცხოვრებლებიც დაკითხეს და ბევრმა დაადასტურა, რომ ჩვილის ტირილის ხმა ესმოდათ, მაგრამ ვერ ხვდებოდნენ, ვისი ბინიდან იყო, თითქოს, ბავშვი რაღაც დახურულ სივრცეში ტიროდა, მაგრამ რომ ტიროდა, აშკარა გახლდათ და ყველა ერთხმად ამტკიცებდა, ეს ჩვილის ტირილი იყოო.

ძალოვნებმა იქვე მდებარე სანაგვე ურნებიც მოქექეს და ერთგან სისხლიანი ზეწარიც იპოვეს. ცხადი გახდა, ვიღაცამ იმ კორპუსში იმშობიარა, მაგრამ ვინ? ეჭვის მიტანა მხოლოდ ორ ქალზე შეიძლებოდა, ორივე გათხოვილი იყო, ქმარ-შვილი ჰყავდა და როცა გაიგეს, რომ ეჭვი მხოლოდ მათზე იყო, ორივე თავის ფეხით წავიდა გინეკოლოგთან და ცნობა დადო – არცერთ მათგანს არ უმშობიარია.

„რას გადავეკიდეთ კორპუსის მცხოვრებლებს? ხომ შეიძლებოდა, ვინმესთან სტუმრად მოვიდა ქალი, იმშობიარა და წავიდა, წაიყვანა ბავშვი და მეზობელ რაიონში დაადგდო?“ – თქვა ერთ-ერთმა მაძებარმა და სხვებიც დაეთანხმნენ, თუმცა კორპუსის მცხოვრებლები კატეგორიულად უარყოფდნენ, უცხოს და მით უმეტეს ორსულს, როგორ ვერ შევამჩნევდითო, მაგრამ იქნებ ღამით მივიდა, იქნებ ისე ეცვა, ვერ შეამჩნიეს, იქნებ... საბედნიეროდ, ჩვილი ცოცხალი იყო და თუ იპოვიდნენ ქალს, ვინც იმშობიარა, ადვილად დაამტკიცებდნენ, რომ ბავშვი მისი იყო.

მაშინ, როცა გამომძიებლებს იმედი აღარ ჰქონათ, მათთან მოხუცი ქალი მივიდა და უთხრა, ჩვენს ეზოში ერთი მხატვარი ცხოვრობს, მასთან უამრავი ქალი დადის, უცოლოა, ცოტა უცნაურ ცხოვრებას ეწევა, ეგებ, რომელიმემ გაუჩინა, მიუყვანა, მანაც სამი დღე ბავშვთან ერთად გაატარა და ვერაფერი რომ ვერ მოუხერხა, ადგა და სხვა რაიონში მიაგდოო. გამოძიებამ მასზე ინფორმაციის შეკრება დაიწყო და გაარკვია, რომ ახალგაზრდა კაცი საკმაოდ აქტიურად ხატავდა და ძალიან კარგი ნახატებიც ჰქონდა. მისი ნახატები ძვირად არა, მაგრამ კარგად იყიდებოდა და მხოლოდ ამით ცხოვრობდა. რაც შეეხება ახალგაზრდა ქალებს, მას მართლაც სტუმრობდნენ და არცთუ იშვიათად, შიშველ ნატურას ხატავდა. ხომ შეიძლებოდა, პენსიონერის ვერსია მართალი ყოფილიყო და ამიტომ, მას თვალთვალი დაუწყეს. ერთკვირიანმა თვალთვალმა შედეგი ვერ მოიტანა, მას როგორც კაცი, ისე ქალი ოპერმუშაკები დასდევდნენ, ეჭვი რომ არ აეღოთ და ერთ-ერთმა ქალმა დაიწუწუნა, რანაირი ორგანიზმი გაქვთ ამ კაცებს, ბევრ საკვებს ყიდულობს და მაინც კარგ ფორმაშია, მე რომ იმდენი პური ვჭამო, რამდენსაც ის ჭამს, სიარულსაც ვეღარ შევძლებ, ისე გავსუქდებიო. დანარჩენებმაც დაადასტურეს, რომ მამაკაცი ორი ადამიანისთვის საჭირო საკვებს ყიდულობდა და მათ შორის, შოკოლადის ფილა თითქმის ყოველდღე მიჰქონდა სახლში. გადაწყვიტეს, მისი სამედიცინო ბარათი ენახათ, სისხლის ჯგუფი შეემოწმებინათ, დაემთხვეოდა თუ არა ნაპოვნი ჩვილის ჯგუფს და...

„აქ რაღაც ხდება, ის, რაც არ ვიცით. სამედიცინო ბარათში გარკვევით წერია, რომ კაცს შოკოლადზე ალერგია აქვს, ამ დროს კი, ის მუდმივად ყიდულობს ამ ტკბილეულს და მაშინაც კი, როცა სტუმარს არ ელოდება. გამოდის, მასთან ვიღაც ცხოვრობს, მაგრამ ვინ? მეზობლები ამბობენ, რომ ის მარტოხელაა და მის ბინაში მართლაც არავინ შედის და არავინ გამოდის“, – თავს იმტვრევდნენ გამომძიებლები.

ექიმმა, სადაც მხატვარი აღრიცხვაზე იდგა, დაადასტურა, რომ მის პაციენტს შოკოლადზე ისეთი ალერგია ჰქონდა, ერთი ნატეხიც კი საკმარისი იყო, სერიოზული სპაზმი დაწყებოდა და შესაძლოაა, სასუნთქი გზები ისე შეშუპებოდა, გაგუდულიყო. მაშინ, ვისთვის იყო შოკოლადი განკუთვნილი? მხატვრის ბინის ჩხრეკის ორდერის მოპოვება წარმოუდგენელი გახლდათ, მაშინ ასე მარტივად, სამხილების გარეშე, ორდერს არავინ იძლეოდა. ამიტომ, სამართალდამცავებმა გადაწყვიტეს, მის ბინაში მაშინ შესულიყვნენ, როცა სახლში არ იქნებოდა და იქაურობა ფრთხილად დაეთვალიერებინათ. ამისთვის, სხვა ქალაქიდან ბინების პროფესიონალი ქურდი ჩამოიყვანეს და მან საკეტი ერთ წუთში გახსნა. ძალოვნებმა იცოდნენ, რომ დრო ძალიან ცოტა ჰქონდათ, ამიტომ სახლში ფრთხილად, მაგრამ სწრაფად მოქმედებდნენ. თითქოს უცნაური არაფერი იყო, ყველა ოთახში საღებავის სუნი იდგა, სახატავი ფურცლები და ტილოები უწესრიგოდ ეყარა, ფუნჯების გროვაც უწესრიგოდ იყო, მაგრამ ბინას ერთი უცნაურობა ჰქონდა – რაღაცნაირად იყო გადაკეთებულ-ამოშენებული, თითქოს პატარა ოთახი იყო გაკეთებული, რომლის კარსაც ბოქლომი ედო. სპეციალურად ჩამოყვანილმა „მედვეჟატნიკმაა“ ბოქლომიც გახსნა და ოთახში შესულ მაძებრებს საოცარი სურათი დახვდათ – ნახევრად შიშველი ახალგაზრდა ქალი პალიტრასთან იდგა და ხატავდა. უცხო ხალხის დანახვაზე ჯერ შეკრთა, შემდეგ ფუნჯი და საღებავები ხელიდან გაუვარდა, სახეზე ხელები აიფარა და ატირდა, თან იმეორებდა, „ღმერთო ჩემო, დასრულდა, დასრულდა“...

ოპერები მხატვარს დაელოდნენ, სადარბაზოში შესვლა არ აცადეს, ისე დააკავეს, ქალი კი დაკითხვაზე გადაიყვანეს.

„მე და ეს ცხოველი სამხატვრო აკადემიაში ერთად ვსწავლობდით. თავადაც ხედავთ, ნორმალური აღნაგობა და შეხედულება აქვს, ხასიათიც თითქოს კარგი ჰქონდა. დავმეგობრდით და სიმართლე გითხრათ, მეგონა, რომ ცოლად მომიყვანდა. თბილისში ვცხოვრობ, აქაც ჩამოვდიოდი ხოლმე. ცოტა უცნაური ხასიათი მქონდა, მოგეხსენებათ, მხატვრებს გვჭირს უცნაურობები. აკადემიაში სწავლის პერიოდშიც კი, ჩემი ნახატები იყიდებოდა და ყველა ამბობდა, რომ დიდი მომავალი მელოდა. დაახლოებით, ორი წლის წინ, აქ რომ ჩამოვედი, რაღაცები დავხატე და მერე ამ სატანამ შემომთავაზა, მოდი, რაღაც ფრაზები ვწეროთო და ამ ხუმრობა-ხუმრობაში, დამაწერინა, ცხოვრებას აზრი არ აქვს, ყველას გემშვიდობებით-მეთქი. მერე კი... მერე აქ დამამწყვდია და მაიძულებდა მეხატა, ისე ააშენა ეს ოთახი, ყვირილს და კივილს აზრი არ ჰქონდა. პერიოდულად მაუპატიურებდა და ბავშვიც გავაჩინე რამდენიმე დღის წინ. სამი დღე ფიქრობდა, რა უნდა ექნა, მე რძე არ მქონდა და მერე ბავშვი სადღაც წაიყვანა. რაც ნახატები აქვს გაყიდული, ყველა ჩემი დახატულია. ის წერილი როგორ გამოიყენა, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, არავის მოვუძებნივარ“, – განაცხადა ქალმა.

საქმეს გრიფით საიდუმლო დაედო და გაირკვა, რომ ის წერილი და გოგონას ტანსაცმელი მამაკაცმა თბილისში, მტკვრის სანაპიროზე დატოვა. ოჯახი შეეგუა იმას, რომ გოგონამ თავი მოიკლა და იმის მიუხედავად, რომ გვამი ვერ იპოვეს, ამის სჯეროდათ. სასამართლომ მამაკაცს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და გათავისუფლებულმა ქალმა შვილთან მიკარება და შვილად მისი აღქმა, მხოლოდ სამი წლის შემდეგ მოახერხა, მანამდე ბავშვს დედამისი ზრდიდა.

რატომ გადაწყვიტა მოხუცმა ქალბატონმა 60 წლის დაქალის მოკვლა

როგორ გავიდა გამოძიება დამნაშავეზე და რა ჩვენება მისცა ბრალდებულმა

ბათო ჯაფარიძე

რაც უფრო გვემატება ასაკი, მით მეტად ვხვდებით მშობლების ფასს. უფრო მეტად ვცდილობთ, მოვეფეროთ, მეტი დრო და ყურადღება დავუთმოთ და მერე, როცა მშობლები აღარ გვყავს, ვნანობთ ყოველ წუთს, რომელიც მათ გარეშე გავატარეთ და ის არაფრისმომცემი საქმეები, რაც მაშინ მნიშვნელოვნად გვეჩვენეებოდა, თურმე, შეგვეძლო გადაგვედო, დედ-მამასთან ვყოფილიყავით. არცთუ იშვიათად, მშობლებს ექიმებთან ტყუილადაც დავატარებთ, გვეშინია, თითქოს ხმამაღლა დაახველეს, თითქოს გამოხედვაში რაღაც შეეცვალათ, თითქოს რაღაც ისე არ არის...

პოლიციის განყოფილებაში მამაკაცი მივიდა და განაცხადა, რომ ვიღაც დედამისის მოკვლას ცდილობდა. ძალოვნებმა თავიდან ყურადღებით დაიწყეს მოსმენა, მაგრამ მერე იფიქრეს, რომ მამაკაცი, უბრალოდ, აჭარბებდა და საკუთარი ფანტაზიების მსხვერპლი იყო.

„საქმე ის გახლავთ, რომ დედაჩემი მერვე სართულზე ცხოვრობს და არასოდეს სარგებლობს ლიფტით. ის ამბობს, რომ სიარული ჯანმრთელობაა და მუდმივად ფეხით დადის. ამჯერადაც, სახლიდან რომ გამოვიდა, კიბეზე დაგორდა. თავიდან იფიქრა, ფეხი დამიცდაო და მეც ასე ვიფიქრე, მაგრამ იქაურობა რომ დავათვალიერე, სათევზაო ძუა ვნახე გაბმული ანუ ვიღაცამ ძუა შეგნებულად გააბა, დედაჩემს ფეხი რომ გამოედო და დაგორებულიყო. სასწაულებრივად გადარჩა და ეს რომ კონკრეტულად დედაჩემის საწინააღმდეგოდ იყო მოფიქრებული, იქიდან ვხვდები, მის სართულზე სხვა არავინ ცხოვრობს, კორპუსიც რვასართულიანია ანუ ერთადერთი, ვინც დაგებულ მახეში გაებმებოდა, დედაჩემი იყო“, – განაცხადა მამაკაცმა.

პოლიციელებმა ჩათვალეს, რომ ეს არასრულწლოვნების ხუმრობა უფრო იყო, ვიდრე ვინმეს მიზანმიმართული ქმედება, რადგან საეჭვო გახლდათ, 60 წლის ქალის მოკვლა ვინმეს მოსურვებოდა, მით უმეტეს, რომ ის ცალკე ცხოვრობდა, მის შვილს ბიზნესი ჰქონდა და საკმაოდ წარმატებულიც, დედის ბინის გარდა, კიდევ ორი ბინა დაკეტილი ჰქონდა და ბინის გამო, დედამისს არავინ შეაწუებდა. კაცს სხვა დედმამიშვილი არ ჰყავდა და...

„არ ვიცი, როგორ ვთქვა, მაგრამ ერთადერთი, ვისაც დედაჩემის სიკვდილი აწყობს, ჩემი ბიჭია. ის 18 წლის გახლავთ, ცალკე სურს ცხოვრება, მაგრამ ამის ნებას არ ვაძლევ. დედაჩემის ბინა მის სახელზეა და ამბობს, როცა მოკვდება, მერე ხომ მაინც ვერაფერს დამიშლით, ჩემს ბინაში გადავალ საცხოვრებლადო. თუ ის დამნაშავეა, მინდა, მთელი სიმკაცრით დაისაჯოს“, – განაცხადა კაცმა.

ყოველი შემთხვევისთვის, სამართალდამცავებმა დაზარალებულის შვილიშვილი დაკითხეს. ბიჭმა მშვიდად მოუსმინა პოლიციელებს, შემდეგ კი აფეთქდა.

„როგორ გგონიათ, გამზრდელ ბებიას, რომელიც მშობლებზე მეტად მიყვარს, რადგან იმათზე მეტი ამაგი აქვს ჩემზე, მოსაკლავად გავიმეტებდი იმის გამო, რომ მის ბინაში შევსულიყავი? ეს სისულელე მამაჩემმა გითხრათ? ღმერთო, რა სულელია. მართლა მინდა ცალკე გადავიდე, ცალკე ვისწავლო, მეტი დრო მქონდეს იმ იდეის განსახორციელებლად, რომელიც მაქვს და რომელიც ახალი ბიზნესის დაწყებას გულისხმობს, მაგრამ მას ჰგონია, რომ... მამაჩემს ჰგონია, რომ მისი შვილი მკვლელობაზეა წამსვლელი და თან, ვისი? – ბებიის მკვლელობაზე! ახლა ნამდვილად გადავალ ცალკე“, – განაცხადა ბიჭმა.

თითქოს ყველაფერი თავის ადგილზე დადგა, მაგრამ მომხდარიდან ორ კვირაში, დაზარალებული საავადმყოფოში მოხვდა. სასწრაფო დახმარების მანქანა მან თავად გამოიძახა. სისხლის ანალიზმა აჩვენა, რომ მის ორგანიზმში „კურარეს“ მსგავსი შხამი აღმოჩნდა და საოცარია, რომ ქალმა სასწრაფოში დარეკვა მოასწრო. როგორც წესი, ეს შხამი ძლიერმოქმედია და სხეულის პარალიზებას მალე იწვევს. ეს უკვე ნამდვილად მკვლელობის მცდელობა იყო და ახლა თავად დაზარალებულს უნდა ეთქვა, რა მიიღო, სად მიიღო და ვისი ხელიდან, თუმცა...

„არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა, დილით ჩვეულებრივად ავდექი, სტუმრად არავინ მოსულა, საჭმელი ვჭამე და ჩემი საყვარელი ჩაი დავლიე. თავი ცუდად ვიგრძენი, იმდენად ცუდად, რომ ტელეფონი ავიღე და დავრეკე. მივხვდი, ბევრს ვერ ვისაუბრებდი და ამიტომ, მხოლოდ მისამართი ვთქვი, მერე კი თვალი საავადმყოფოში გავახილე. რა მოხდა? არ ვიცი, მართლა არ ვიცი“, – თქვა ქალმა.

რაც შეეხება იმ ადამიანთა წრეს, ვისაც შეეძლო დაზარალებულს სახლში შესულიყო და მოეწამლა, საკმაოდ ვიწრო იყო – შვილი, შვილიშვილი, მეზობელი ქალი და... კაცი, რომელსაც თურმე ეს ქალი უყვარდა.

„რა? თქვენ ხომ არ გაგიჟდით? მე ობლობაში გავიზარდე, 3 წლის ვიყავი, მამა რომ გარდამეცვალა და დედის გვერდით არასდროს არავინ ყოფილა და თქვენ მეუბნებით, ახლა, ამ ასაკში შეუყვარდა? სისულელეა, არ მჯერა... თუ ეს თავად თქვა... მე ის მამაკაცი არასდროს მინახავს. ალბათ, ვინმე ბინაზე გადარეული ალფონსი იქნება“, -როცა შვილმა დედის მეგობარი მამაკაცის შესახებ გაიგო, ლამის კედლებზე გაიარა, მაგრამ მისი ვარაუდი არ გამართლდა. კავალერი 65 წლის, ვეტერანი სამხედრო იყო, პოლკოვნიკი, საკუთარი სახლიც ჰქონდა და არცთუ მცირე ბიზნესი, ამიტომ ქალის ბინა ნამდვილად არ სჭირდებოდა, მაგრამ... სჭირდებოდა თუ არა მისი მოკვლა? ყოფილი პოლკოვნიკი დაკითხვაზე დაიბარეს.

„ცოლი 8 წლის წინ გარდამეცვალა, ერთი შვილი საზღვარგარეთ ცხოვრობს, მეორე – აქ, თბილისში, მაგრამ თავისი ოჯახი აქვს, ბიზნესი, საქმეები და ჩემთვის არ სცალია. არ სცალიათ შვილიშვილებსაც, ხან ერთ წრეზე არიან, ხან – მეორეზე, საღამოს ისეთი დაღლილები მოდიან, ბაბუასთან თამაშის თავი და სურვილი ნამდვილად არ აქვთ. ასე ვარ, სულ მარტო. ცოტა ხნის წინ, ამ კორპუსში მცხოვრები ქალი გავიცანი, მერე მან შინ მიმიპატიჟა და ეს საოცარი ქალბატონიც მაშინ ვნახე. მას შემდეგ ვცდილობ, გული მოვიგო, ცოლად მოვიყვანო, მაგრამ უარზეა, რა დროს ჩვენი ეგ ამბებიაო. ახლა კიდევ, ვიღაცამ მისი მოწამვლა სცადა და არც კი ვიცი, რა მოვიმოქმედო. მანამდე სათევზაო ძუა დაუმაგრეს... ფაქტია, ვიღაცას ხელს უშლის, მაგრამ ვის?“ – პოლკოვნიკი ცდილობდა, გამოძიებას როგორმე დახმარებოდა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა, მას ეჭვი არავისზე ჰქონდა.

რაც შეეხება დაქალს, ისიც ასაკოვანი იყო, მაგრამ დაახლოებით ისეთი, სიბერეშიც რომ წითელი პომადითა და ცოტა გამომწვევი, უფრო ვულგარული ტანსაცმლით რომ დადიან. მან მხრები აიჩეჩა, აბა, მე საიდან უნდა ვიცოდე, ვის რა დაუშავა ჩემმა დაქალმა, ხანდახან ისეთი აუტანელია, მზად ვარ, ჩემი ხელითაც დავახრჩოო. გამოძიებას ისევ არაფერი ჰქონდა, მაგრამ ცხადი იყო, რომ ქალის მოწამვლა ვიღაცამ გადაწყვიტა და თან არცთუ ადვილად საშოვნი „კურარეს“ შხამით. შეისწავლეს პოლკოვნიკის წარსული და მას აფრიკაშიც ჰქონდა სამსახური გავლილი ანუ მარტივად შეეძლო, იქიდან „კურარე“ ჩამოეტანა. სხვას ამის შოვნა გაუჭირდებოდა და ეჭვი კვლავ პოლკოვნიკზე მიიტანეს, მაგრამ მას არ ჰქონდა უმთავრესი – მოტივი, ან ჰქონდა, და გამოძიება ვერ ხვდებოდა. კვანძი მააშინ გაიხსნა, როცა არავინ ელოდა. განყოფილებაში პოლკოვნიკი მივიდა და მაგიდაზე ექიმის დასკვნა დადო.

„იცით, ეს რა არის? არ იცით, წარმოდგენაც არ გაქვთ. აქ წერია, რომ ჩემი საყვარელი ქალი „კურარეთი“ მოწამლეს და ეს მისმა დაქალმა გააკეთა. მე აფრიკიდან ჩამოვიტანე ეს შხამი და ერთხელ, როცა ის ქალი ჩემთან იყო სტუმრად, ვანახე და მეხვეწა, ცოტა მომეციო და მივეცი. სხვა ამ შხამს ვერ იშოვიდა და ახლა თქვენ უნდა გაარკვიოთ, რატომ მოწამლა მეზობელი და რაც მთავარია, მგონია, რომ ის ამას მეორედაც შეეცდება“, – ყვიროდა პოლკოვნიკი.

გამომძიებლები დაზარალებულთან წავიდნენ და თავზე ზუსტად იმ დროს დაადგნენ, როცა დაქალთან ერთად, ჩაის დალევას აპირებდა. წინ ორცხობილები იდო, რომელიც სწორედ მეზობელმა შეიტანა და ამბობდა, მე ვერ შევჭამ, ამის კბილები სად მაქვსო. ორცხობილები ექსპერტიზაზე გაგზავნეს, ქალი კი დააკავეს. დასკვნა მალე მოვიდა – ორცხობილებში სასიკვდილო დოზის „კურარე“ იყო გარეული.

„ეს კაცი პირველად მე გავიცანი, დარწმუნებული ვიყავი, ცოლად მომიყვანდა, მერე კი ჩემი მეზობელი გაიცნო და გადაირია. მე მეუბნებოდა, როგორ მოიყვანდა ცოლად, როგორ დედოფალივით აცხოვრებდა, როგორ ეძებდა ასეთ ჭკვიან ქალს მას შემდეგ, რაც ცოლი გარდაეცვალა. ჰო, ძუა მე გავაბი, მისი ჯანსაღი ცხოვრების წესით რომ მესარგებლა, მაგრამ გადარჩა. მერე მოვწამლე, მაგრამ მაინც გადარჩა და ახლა... ახლა თქვენ რომ არ მოსულიყავით, ვერაფერი გადაარჩენდა“, – ქალი კი არ საუბრობდა, სიტყვებს კბილებიდან ცრიდა.

სასამართლომ მკვლელობის მცდელობისთვის მას 8 წელი მისცა, პოლკოვნიკმა კი... ოცნება აიხდინა და საყვარელი ქალი ცოლად შეირთო, საცხოვრებლად თავის ბინაში გადაიყვანა, ბებიის ბინაში კი შვილიშვილი შესახლდა.

ბათო ჯაფარიძე

ოპერა ყოველთვის იყო ის ადგილი, სადაც შემთხვევითი ადამიანი იშვიათად მოხვდებოდა. ოპერა ან გიყვარს, ან – არა და თუ არ გიყვარს, უბრალოდ, ვერ დაჯდები და ვერ მოუსმენ. ვილაცისთვის ოპერა საოცრება, ცხოვრება და ოპერის თეატრში წასვლა ცალკე ხელოვნებაა. საოპერო კაბები, თავსაბურავები, ჩანთებიც კი განსაკუთრებულია. ალალად გეტყვით, ორჯერ ვარ ოპერაში ნამყოფი, ორივეჯერ იმიტომ, რომ ბილეთები გვაჩუქა მეგობარმა და იმის მიუხედავად, რომ თურმე საოცარი რამ ვნახეთ, ვერ აღვიქვი, ვერ მივხვდი, რა და რატომ უნდა მომწონებოდა.

ოპერაში ახალგაზრდა ქალის გვამი იპოვეს

როგორ დაგეგმა ექიმმა სადედამთილომ შვილის შეყვარებულის მკვლელობა

70-იანი წლების გარიჟრაჟზე, ოპერისა და ბალეტის თეატრის ლოჟაში, ახალგაზრდა ქალის გვამი დამლაგებელმა იპოვა. ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა და ექსპერტებმა შვებით ამოისუნთქეს – გვამს ძალადობის კვალი არ ეტყობოდა და ყველაფერი ძალიან ჰგავდა ბუნებრივ სიკვდილს. გამოითქვა ვარაუდი, რომ გოგონას გულის პრობლემები ჰქონდა და სწორედ ამის გამო გარდაიცვალა. ვარაუდის მიუხედავად, აუცილებელი იყო ექსპერტიზა და გვამი პროზექტურაში გადაასვენეს. მანამდე კი, სამართალდამცავებმა დაადგინეს, რომ გარდაცვლილი სამედიცინო ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი იყო, ოპერას ხშირად სტუმრობდა, ძირითადად, მეგობართან ერთად. ის მეგობარი მის ჯგუფში სწავლობდა, ბინაც ერთად ჰქონდათ ნაქირავები, უფრო ზუსტად, დიასახლისთან ერთად. როცა გოგონას გარდაცვალების შესახებ დიასახლისმა შეიტყო, სახე ჩამოიხოკა, როგორი ნიჭიერი ადამიანი დავკარგეთო და მეგობარმაც ცრემლები წამოყარა, სამი წელია, ერთად ვცხოვრობდით, მის გარეშე, რა მეშველებაო. ჰოდა, სწორედ იმ დროს, როცა ყველა შეეგუა გოგონას ბუნებრივ სიკვდილს, პათანატომმა დასკვნა დადო: „გარდაცვალების მიზეზი „დიტილინის“ გადაჭარბებული დოზაა. გოგონას ნემსი მკლავზე, იდაყვის კუთხესთან გაუკეთეს და გაუკეთეს უშუალოდ ოპერაში, ლოჟაში, რადგან სიკვდილი ინექციიდან 15 წუთში დადგა“...

ამ დასკვნამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. გამოდიოდა, გოგონა ვილაცამ შეგნებულად მოკლა და რაც მთავარია, მოკლა ადამიანმა, რომელიც სამედიცინო სფეროში კარგად ერკვეოდა. რა თქმა უნდა, ეჭვი მეგობარზე მიიტანეს, რომელიც იმ დღეს, გარდაცვლილს ოპერაში ახლდა და რაც მთავარია, იქაურობა ზუსტად 15 წუთით ადრე დატოვა. თანაც, ის სამედიცინოს სტუდენტი იყო და ზუსტად იცოდა, რისი გამოწვევა შეეძლო „დიტილინის“ გადაჭარბებულ დოზას.

გოგონა დაკითხვაზე გადაიყვანეს და მან გაოცებისგან პირი დააღო, რას ამბობთ, ოპერაში მისი ხათრით წავედი, უბრალოდ, ბოლომდე ვეღარ გავძელი და იქაურობა მალე იმიტომ დავტოვე, მომღერლები ძალიან კიოდნენ და აღარ შემეძლოო. მეგობარმა ისიც თქვა, ჩემს გარდა, ლოჟაში, სადაც ვისხედით, კიდევ სამი ქალი იყო და ეგებ, რომელიმე მათგანმა გაუკეთა ინექცია, მით უმეტეს, მას რომ ერთი ქალი ემუქრებოდა, ზუსტად ვიცოდი და ის ქალი ჩვენი ლექტორის ცოლიაო.

სამართალდამცავებმა გაარკვიეს, რომ გარდაცვლილს ახლო ურთიერთობა ერთ-ერთ ლექტორთან ჰქონდა, მისი ცოლიც ინსტიტუტში მუშაობდა და მოარული ხმების შესახებ იცოდა, თუმცა იმ დღისთვის ქალს უტყუარი ალიბი ჰქონდა – ნათესავის გასვენებაში, დასავლეთ საქართველოსი იმყოფებოდა და ამას 300-მდე ადამიანი დაამოწმებდა, თუმცა ქალი არ მალავდა, რომ „თავხედი სტუდენტის“ გარდაცვალების გამო, გული არ დასწყდა. გამომძიებლებმა ლექტორიც დაჰკითხეს.

„აბა, რა გითხრათ? გოგონა ნიჭიერი იყო, მაგრამ ძალიან ზარმაცი. მითხრა, დამატებითი გაკვეთილები ჩამიტარეთო და უარი არ მითქვამს, ლექციების შემდეგ, ჩემს კაბინეეტში ვრჩებოდით. ერთ დღეს, კონიაკის ბოთლი მოიტანა, პრობლემები მაქვს, ცოტა უნდა მოვდუნდე და თუ შეიძლება, ერთად დავლიოთო. დავლიეთ და მერე... მერე გახდა დაიწყო და მეორე დღეს მივხვდი, რომ უდიდესი შეცდომა დავუშვი. აღარ მეცადინეობდა, მეეუბნებოდა, ყველა გამოცდა ჩამაბარებინეო და მეც კოლეგებს ვთხოვდი, თუმცა ამ თხოვნების მერე, ხმები დაირხა და ცოლთან ურთიერთობა დამეძაბა. ისე, მასთან კავშირი აღარ მქონია, მაგრამ ზუსტად ვიცი, გათხოვებას აპირებდა და მისი რჩეული საკმაოდ შეძლებული ადამიანი იყო, რადგან გოგონას ძვირფასეულობითაც ანებივრებდა და არც ოპერის ლოჟის ბილეთი ღირს იაფი“, – განაცხადა ლექტორმა.

მართლაც, გოგონას ოთახში ოქროს არაერთი სამკაული იპოვეს და დაქალმაც თქვა, თაყვანისმცემელი ჰყავდა, ხანდახან ღამითაც რჩებოდა მასთან, მაგრამ ვინ არის, არ ვიცი, მხოლოდ ის ვიცი, რომელიღაც ქარხნის დირექტორია და ნანახიც ერთადერთხელ მყავსო. მეორე დღეს, გოგონას წინ, ყველა ქარხნის დირექტორის ფოტო ედო და მან ერთ-ერთს დაადო ხელი, ნამდვილად ეს იყოო. რა თქმა უნდა, ძალოვნები მას კარგად იცნობდნენ, ერთ-ერთი მდიდარი საქმოსანი იყო, თუმცა ყველაფერს სიმამრის წყალობით მიაღწია და ცოლს საყვარლის არსებობის შესახებ რომ გაეგო, კარგ დღეს არ დააყრიდა. მისი მეუღლე არსად მუშაობდა, მთელ დროს შვილს უთმობდა, ქმარზე გიჟდებოდა და ისე ჩანდა, რომ მეუღლის ღალატზე წარმოდგენაც არ ჰქონდა. გადაამოწმეს და იმ დღეს ქალი ოპერაში არ ყოფილა, თუმცა ოპერას ხშირად სტუმრობდა, მაგრამ არა იმ დღეს – შვილი ჰყავდა სიცხიანი და მთელი საღამო მის საწოლთან, მეზობელ ექიმთან ერთად გაატარა. სხვა გზა არ იყო, ქარხნის დირექტორი უნდა დაეკითხათ და ეს გადაწყვეტილება თამამად იმიტომ მიიღეს, რომ სიმამრი მოღალატე სიძეს ხელს ნამდვილად არ დააფარებდა და თავად დირექტორიც შეეცდებოდა, ყველაფერი სიმამრის ყურამდე არ მისულიყო, ან ისე მისულიყო, რომ სიძეს არაფერი დამუქრებოდა.

„სიმართლე გითხრათ, საკმარისი ქონება დავაგროვე იმისთვის, რომ დამოუკიდებლად ცხოვრება შევძლო. მე ის ახალგაზრდა გოგო შემიყვარდა, თავდავიწყებით შემიყვარდა. ის არ იყო ჩემი საყვარელი, ის ჩემი საცოლე იყო და შესაფერის მომენტს ვეძებდი, რათა ცოლისთვის მეთქვა დაშორების შესახებ. ვიცი, ამის შემდეგ სიმამრი ყველაფერს იზამდა, რომ სამსახურიდან გავეშვი, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, საკმაოდ შეძლებული ვარ, საკმარისი კავშირებიც მაქვს და არც თავის გატანა გამიჭირდება და არც ანალოგიური სამსახურის მოძებნა. ოპერის ბილეთებს მე ვყიდულობდი, იმ დღესაც მე ვუყიდე. მინდოდა, საცოლე დედაჩემისთვის გამეცნო, ის კი კატეგორიული წინააღმდეგი გახლდათ, აღმერთებს ჩემს ამჟამინდელ ცოლს. ამიტომ, ოთხი ბილეთი ვიყიდე, ორი დედას მივეცი, რომელიც იქ მეგობართან ერთად დადის, ჩემი საცოლეც მეგობართან ერთად წავიდოდა და გამორიცხულია, ერთმანეთი არ შეეთვალიერებინათ. მერე მინდოდა დედასთან საუბარი ოპერაზე, როგორ მოეწონა ლოჟაში მის გვერდით მსხდომნი და ბოლოს უნდა მეთქვა, რომ ეს სწორედ ის გოგონა იყო, რომელზე დაქორწინებასაც ვაპირებდი. ყველაფერი კი, ასე ტრაგიკულად დასრულდა“, – მოთქვამდა დირექტორი.

ახალი ვერსია და ახალი ეჭვმიტანილი გაჩნდა. ხომ შეიძლებოდა, არასასურველი სარძლო მომავალ სადედამთილოს მოეკლა, მით უმეტეს, დედაქალაქის ერთ-ერთ საავადმყოფოში ექიმად მუშაობის 35-წლიანი გამოცდილება ჰქონდა. ქალს დასაკითხად სამსახურში მიაკითხეს.

„ოპერაში მუდმივად დავდივარ, იმ დღესაც ვიყავი, მაგრამ წარმოდგენა არ მაქვს, ჩემი მეგობრის გარდა, ლოჟაში ვინ იჯდა, არ მაინტერესებდა და თუ თქვენ მეუბნებით, რომ ის ჩემი შვილის საცოლე იყო, გავიცინებ და გეტყვით, რომ ჩემს შვილს საოცარი ცოლი ჰყავს და საოცარი ბავშვები. რომ არ გეთქვათ, ვილაც მოკვდაო, ვერც კი გავიგებდი, როცა იქიდან წამოვედით, ყველა ცოცხალი იყო. მე მალე გამოვედი, რადგან მსურდა, მომღერლებთან საგრიმიოროში შევსულიყავი და მადლობა პირადად მეთქვა, ასე ვაკეთებ ხოლმე და მუდმივად წითელ ვარდებს ვჩუქნი. ახლაც ასე იყო და როგორ გგონიათ, ხელში ვარდების უზარმაზარი თაიგულით მივედი, თაიგული სკამზე დავდე, ვილაცას ნემსი გავუკეთე, მერე თაიგული ავიღე და წამოვედი და ეს ვერავინ დაინახა? ხომ ხვდებით, რომ თქვენი ვერსია სისულელეა?!“ -ქარხნის დირექტორის დედა მამალი ქალი ჩანდა, მაგრამ მასთან საუბრის შემდეგ გამომძიებლები დარწმუნდნენ, რომ მკვლელი სწორედ ის იყო, უბრალოდ, სამხილი არ ჰქონდათ, მაგრამ...

„ის შპრიცს ოპერაში ვერ გადააგდებდა და როცა გამოვიდოდა, მაშინ მოიშორებდა, თუნდაც უახლოეს ურნაში. ახლა რამდენიმე დღეა გასული და ურნების გაჩხრეკას აზრი არ აქვს, მაგრამ შპრიცის ნემსის წვერზე ყოველთვის რჩება წვეთის რაღაც ნაწილაკი, ის ქალი შპრიცს ჩანთაში შეინახავდა, ოპერის ჩანთები კი განსაკუთრებულია, შიგნიდან ნაჭერი აქვს და სწორედ ამ ჩანთაში უნდა ვეძებოთ „დიტილინის“ კვალი, მერე კი, ყველაფერი გამარტივდება“, – თქვა ერთ-ერთმა გამომძიებელმა და მართლაც, ექსპერტებმა ქალის ჩანთა შეამოწმეს და... „დიტილინის“ კვალი იპოვეს.

„ჩემმა რძალმა მითხრა, რომ ჩემს შვილს, შესაძლოა, საყვარელი ჰყოლოდა. თვალთვალი დავუწყე და მივხვდი, რომ რძალი არ ტყუოდა. არადა, ჩემს ბედოვლათს რაც აქვს, ყველაფერი იმ საოცარი გოგოს დამსახურებაა, რომელმაც საოცარი შვილიშვილები მაჩუქა და როგორც მათ, ისე ჩემს შვილს, თან ჰყვება. ეს კი, პატარა ბავშვივით ამჩატდა, ცოლად მოყვანა დააპირა. მეტიც, უნდოდა, მე გამეცნო, ოღონდ, ვითომ შემთხვევით და დავინახე, როგორ გადასცა ბილეთები. გეგმაც მაშინ დავსახე. ვარდების თაიგული ოპერის დასრულებამდე 10-15 წუთით ადრე, მის მკლავთან მივიტანე, ნემსი ყვავილის ღეროებს შორის გავაძვრინე და ინექცია წამის მეასედში გავუკეთე. ეგონა, ეკალი შეერჭო, მოვუბოდიშე და წამოვედი. ჩადენილს არ ვნანობ“, – მტკიცედ განაცხადა ქალმა და ამ „სიმტკიცისა“ და წინასწარ დაგეგმილი მკვლელობის გამო, თავისუფლების აღკვეთა 12 წლით მიუსაჯეს.

ქარხნის დირექტორი ცოლს მაინც დაშორდა და ამის შემდეგ, ორ თვეში, სამსახურიდან უმნიშვნელო მიზეზის გამო გაუშვეს. ამბობენ, რამდენიმე წლის შემდეგ, თავი რომ ერჩინა, ქარხნის ყოფილი დირექტორი, ერთ-ერთ მაღაზიაში მტვირთავად მუშაობდაო.

სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებს სპეციალური სწავლება ჩაუტარდათ

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სწრაფი რეაგირების მთავარი სამმართველოს 13 თანამშრომელს სპეციალური სწავლება ჩაუტარდათ.

სწავლება შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის მომზადებისა და გადამზადების სამმართველოს სასროლეთზე განხორციელდა და მასში ჩართულნი იყვნენ განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის მომზადებისა და გადამზადების სამმართველოს ინსტრუქტორები.

საველე სწავლება ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და მოიცავდა საბრძოლო სროლებს 30 მმ ყუმბარმტყორცნი „აგს 17“-დან.

მსგავსი ტიპის სწავლებები მესაზღვრეების კვალიფიკაციის ამაღლებასა და უნარ-ჩვევების განვითარებას ისახავს მიზნად.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორი საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს შეხვდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას, საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ალი ქაან ორბაი ეწვია. ვიზიტის ფარგლებში, ელჩთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორმა, ვახტანგ გაბრიჭიძემ. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოვლენილი მრჩევლები – ნეჩმეთინ აქჩა და ნეჯმი ინჯე.

თურქეთის რესპუბლიკის ელჩს შეხვედრაზე დეტალური ინფორმაცია მიეწოდა აკადემიის საქმიანობასა და სამომავლო გეგმების შესახებ. სტუმრებისთვის ასევე მოეწყო ტური, რომლის ფარგლებში, ელჩმა აკადემიის ინფრასტრუქტურა მოინახულა, კერძოდ: საგამოცდო ცენტრი, სიმულაციური სწავლების სივრცე, იმიტირებული სასაზღვრო-გამტარი პუნქტი, სასროლეთი, ტირი და სპორტული დარბაზი.

შეხვედრის დასასრულს, ვახტანგ გაბრიჭიძემ ელჩს მადლობა გადაუხადა თურქეთის რესპუბლიკის მიერ გაწეული მუდმივი მხარდაჭერისთვის და იმედი გამოთქვა, რომ მხარეთა შორის არსებული თანამშრომლობა ერთობლივი ძალისხმევით კიდევ უფრო გაღრმავდება.

სუს-ის ინფორმაციით, დააკავეს სასწრაფო დახმარების ყოფილი თანამშრომლები, რომლებიც კორუფციული გარიგების შედეგად, ავადმყოფთა გადაუდებელ ჰოსპიტალიზაციას არა უახლოეს საავადმყოფოში, არამედ, სს „ვიანის“ დაქვემდებარებულ კლინიკებში ახდენდნენ

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის“ ჰოსპიტალიზაციის ცვლის უფროსის ყოფილი მოადგილე და ამავე ცენტრის ჰოსპიტალიზაციის ორი ყოფილი მენეჯერი დააკავეს, ხოლო უკანონო ქმედების ჩასადენად ქრთამის მიცემისთვის ორ პირს ბრალდება წარუდგინეს.

ამის შესახებ ინფორმაციას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, დანაშაული სასჯელის სახით 11-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ვადით ითვალისწინებს.

„ჩატარებული გამოძიებით დგინდება, რომ სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის“ ჰოსპიტალიზაციის ცვლის უფროსის მოადგილე თ. მ. და ჰოსპიტალიზაციის მენეჯერები – ნ. კ. და რ. ც., თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, კორუფციულ გარიგებაში შევიდნენ სააქციო საზოგადოება „ვიანის” წარმომადგენელებთან – ნ.ჟ-სა და მ. ხ-თან და სოლიდური ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრში შესული მოთხოვნის საფუძველზე, პაციენტთა ელექტრონული მართვის პროგრამაში ხელოვნური ჩარევით, ავადმყოფთა გადაუდებელ ჰოსპიტალიზაციას ახდენდნენ არა უახლოეს სამედიცინო დაწესებულებაში, არამედ, სააქციო საზოგადოება „ვიანისადმი” დაქვემდებარებულ კლინიკებში.

აღნიშნული დანაშაულებრივი სქემის გამოყენებით, 2020 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 ივლისის ჩათვლით, სამედიცინო დაწესებულებებში რამდენიმე ათასი პაციენტის გადამისამართების სანაცვლოდ, ნ. კ-მ, რ. ც-მ და თ. მ-მ კლინიკებისაგან ქრთამის სახით მიიღეს, ჯამში, 532 126 ლარის ოდენობის ფულადი თანხა.

თავის მხრივ, კლინიკების წარმომადგენელმა ნ.ჟ-მ, მოხელეთათვის ქრთამის მიცემის გზით, პაციენტების მოზიდვისთვის, ბონუსის სახით მიიღო 149 010 ლარის, ხოლო მ. ხ-მ – 76 771 ლარის შემოსავალი.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღებისა და უკანონო ქმედების ჩასადენად ქრთამის მიცემის ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“, მესამე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა და 339-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 11-დან 15 წლამდე“.

გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.

ბათუმში, ზღვაში არასრულწლოვნების მკვლელობის მცდელობის საქმეზე, სასამართლომ დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე, ორი პირი დამნაშავედ სცნო

ბათუმის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ბათუმში, ზღვაში არასრულწლოვნების მკვლელობის მცდელობის საქმეზე, განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე ორი პირი დამნაშავედ სცნო.

პროკურატურის ცნობით, სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2023 წლის 4 ივლისს, ბათუმის სანაპიროზე, ბრალდებულების თანდასწრებით, ერთმა პირმა სასეირნო-გასართობ სწრაფმავალ კატარღაზე მიბმულ საბუქსირე-წყლის ატრაქციონ ე.წ. „ბანანზე“ აყვანილი ოთხი მოზარდი, „ბანანის“ მკვეთრი მოძრაობის შედეგად, შუა ზღვაში გადმოაგდო. ასევე, მან ერთ-ერთ არასრულწლოვანს სამაშველო ჟილეტი წაართვა, რომელიც დაზარალებულმა ზღვაში ჩავარდნის შემდგომ ჩაიცვა. აღნიშნულის შედეგად, ერთი მოზარდი ზღვაში დაიხრჩო.

ამასთან, განმარტავენ, რომ ბრალდებულები განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის თვითმხილველები გახდნენ, თუმცა მომხდარის შესახებ სამართალდამცავ ორგანოებს არ შეატყობინეს.

„სამართალდამცველებმა ბრალდებულები 6 ივლისს დააკავეს. მათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლის მე-2 ნაწილით (განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის შეუტყობინებლობა) წარედგინათ და აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ. 2023 წლის 28 დეკემბერს, ერთ-ერთ არასრულწლოვან ბრალდებულს პატიმრობა გირაოთი შეეცვალა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ ორივე ბრალდებული სრულად სცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში. არასრულწლოვან პირს სასჯელის სახედ და ზომად 2 წლისა და 3 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, რაც ჩაეთვალა პირობითად, 3 წლის გამოსაცდელი ვადით, ხოლო მეორე ბრალდებულს სასჯელის სახედ და ზომად – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

რაც შეეხება დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე ბრალდებულს, მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 27 მარტს და ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სასჯელის სახედ და ზომად 16 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

ქართული ფეხბურთის დიდგორი – 26 მარტის ტრიუმფალური გამარჯვების დეტალები

ბათო ჯაფარიძე

„ის, რაც საქართველო-საბერძნეთის მატჩის შემდეგ, ჩვენი მეტოქის ქვეყანაში მოხდა, არის პასუხი კითხვაზე, რატომ წავაგეთ აღნიშნული შეხვედრა“, – ბერძნული მედიის ეს დასკვნა, სავარაუდოდ, არის პასუხი ყველა კითხვაზე და ნათლად ასახავს, თუ რახ დებოდა 26 მარტამდე საქართველოში და როგორ ამოხეთქა დაგუბებულმა ემოციებმა ერთ ღამეში. ჰო, 34 წლის ემოციებმა... 34 წელი ელოდა საქართველო ამ დღეს, ელოდა სულგანაბული, ელოდა მოთმინებით, ელოდა გაბრაზებულიც და იმედგაცრუებულიც, მაგრამ ელოდა, ელოდა, ელოდა...

და მაინც, რა მოხდა 26 მარტს და რატომ არის ეს თარიღი უმნიშვნელოვანესი არა მარტო ქართული ფეხბურთისთვის, არამედ, ზოგადად, საქართველოსთვის.

დავიწყოთ იმით, რომ ნიკა კვეკვესკირის გოლის შემდეგ, საქართველოში არავის ახსოვდა მოახლოებული საპარლამენტო არჩევნები, არავის ახსოვდა, ვინ იყო ნაცი და ვინ ქოცი, ვინ რომელ რელიგიას თუ სექტას ეკუთვნოდა, ვინ იყო ლგბტ თემის მომხრე თუ მოწინააღმდეგე... ჰო, არავის არაფერი ახსოვდა, უბრალოდ, ყველას უხაროდა წარმატება და ერი იყო ერთ მუშტად შეკრული.

ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ სწორედ ასე, ერთ მუშტად შეკრულმა ქართველებმა მოიგეს დიდგორი და შეიძლება, უცნაური შედარება იყოს, მაგრამ საქართველოს ამჟამინდელი ნაკრების „დიდგორი“, სწორედ 26 მარტი იყო, ბრძოლის ველი – „დინამო არენა!“

ჩახერგილი არაფერი ყოფილა, მაგრამ ნაკრებმა და საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ იცოდა, რომ უკან დასახევი გზა არ იყო, არ არსებობდა სხვა გზა და... მოდით, ისიც ვთქვათ, რასაც ბევრმა, ალბათ, ყურადღება არ მიაქცია – სტადიონის გარშემო, სპეც-დანიშნულების რაზმი იყო მობილიზებული და, სავარაუდოდ, იმის გამო, რომ მარცხის შემთხვევაში... არა, არ გვქონდა მარცხის უფლება და ეს იცოდა ყველამ.

რაც შეეხება ქომაგს. საბედნიეროდ, სტადიონის მესვეურებმა მეორე ტაიმის დაწყებამდე, კარებები გახსნეს და „დინამო არენასთან“ მისული უბილეთო მგზავრები შეუშვეს. ამიტომ, მეორე ნახევრისთვის, სტადიონის არა მარტო ტრიბუნები, არამედ, კიბეებიც გადავსებული იყო. გარედან შესულმა ქომაგმა ახალი მუხტი მიიტანეს, უფრო ენერგიული გახდა ქომაგობა და მაშინ, როცა ბერძნებს ეგონათ, რომ საწყისი 45 წუთის შემდეგ, გულშემატკივრები დაიღლებოდნენ, პირიქით მოხდა – უფრო ხმამაღლა ახმაურდა ტრიბუნები. დამატებით დროში კი, ფანებს მეორე, მესამე და მეათე სუნთქვა გაეხსნათ, წამით არ დადუმებულან და მერე იყო ნერვების თამაში, პენალტების სერია და ბოლოს კვეკვესკირის გოლი, რომელიც სიგიჟის დაწყების საწინდარი იყო. რა ხდებოდა სტადიონზე? ისევ ბერძნულ პრესას დავესესხოთ – **„ჩვენს გუნდს გავარვარებულ ქვაბში, ჯოჯოხეთში მოუწევს თამაში“** – და სტადიონი მართლაც ჰგავდა გავარვარებულ ქვაბს, მაგრამ არა ჯოჯოხეთს, არამედ, სამოთხეს, სადაც ყველა ნეტარებდა და ამ ნეტარებას, ვისაც როგორ შეეძლო, ისე გამოხატავდა. მერე იყო, სოციალური ქსელები ემოციების ვიდეოებმა რომ წალეკა და ყველას ათასობით ნახვა ჰქონდა. თურმე, რა ცოტა გვჭირდება სიხარულისა და ბედნიერებისთვის, მაგრამ... არ იყო ეს ცოტა, რადგან ცოტა რომ ყოფილიყო, წინა თაობაც იზამდა.

რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატს. საქართველოს ნაკრების მეტოქეები ჯგუფში თურქეთი, პორტუგალია და ჩეხეთი არიან. სულ კი, ევროპაზე ექვსი ჯგუფიდან, შემდეგ ეტაპზე, პირველ-მეორე ადგილოსნები და ექვსი ჯგუფის ოთხი საუკეთესო მესამე ადგილოსანი გადის ანუ ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ ჯგუფში ერთი მოგებაც გვეყოს 1/8-ფინალში გასასვლელად. 18 ივნისს, დორტმუნდში, „სიგნალ იდუნა პარკზე“ (ტევადობა 81 365) თურქეთს ვხვდებით და ეს შეხვედრა თბილისის დროით, 20.00 საათზე დაიწყება; 22 ივნისს, ჰამბურგში, „ვოლკსპარკსტადიონზე“ (ტევადობა 57 274) ჩეხეთი გველოდება და მატჩი ჩვენი დროით, 17.00 საათზეა, ხოლო ჯგუფური ეტაპის დასკვნით ტურში, 26 ივნისს, პორტუგალიას, „ფელტინს არენაზე“ (ტევადობა 62 271), გელზენკირხენში ვეთამაშებით და შეხვედრა 23.00 საათზეა ჩანიშნული.

ცნობილია, რა ეღირება ჯგუფური ეტაპის მატჩებზე დასასწრები ბილეთები. UEFA-ს ოფიციალური საიტის ცნობით, ყველა შეხვედრაზე ბილეთის ფასი 30, 60, 150, 200 და 400 ევრო იქნება, მერვედფინალში ბილეთების ფასი უკვე – 50, 85, 175, 250 და 500 ევრო, მეოთხედფინალურ შეხვედრებში – 60, 100, 200, 300 და 700 ევრო, ნახევარფინალში – 80, 195, 400, 600 და 900 ევრო, ფინალურ შეხვედრაზე დასწრების მსურველებს კი 95, 300, 600, 1 000 და 2 000 ევროს გადახდა მოუწევთ. UEFA გვატყობინებს, რომ საქართველოს ნაკრების თამაშზე დასასწრები ბილეთების გაყიდვას სფფ უზრუნველყოფს, ხოლო თუ ბილეთები სრულად არ გაიყიდება, მაშინ მათი შეძენა უკვე UEFA-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე იქნება შესაძლებელი.

და ერთიც – ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების სტარტზე, ქართული კომპანიები თუ ცნობილი ადამიანები ღიად აცხადებდნენ, ვის უჭერდნენ მხარს, იმ ნაკრების მაისურებს იცვამდნენ, კომპანიები იმ ქვეყნის დროშის ფერებში რთავდნენ ოფისებს. ახლა კი... ახლა ყველა საქართველოს მხარეს იქნება, ყველა საქართველოს მაისურით და თეთრ-წითელ ფერებში მორთული ოფისებით. ეს საოცარი სანახაობა კიდევ წინ გველოდება.

ხვიჩას გარეშე „ნაპოლი“ განადგურდა, მამარდამ ისევ იფრინა

დავითაშვილმა გოლი და საგოლე გადაცემა შეასრულა

სანაკრებო ბატალიების დასრულების შემდეგ, ნაკრების წევრები კლუბებს დაუბრონდნენ. სწორედ, ნაკრებში მიღებული ტრავმის გამო, ხვიჩა კვარაცხელია „ნაპოლის“ ვერ დაეხმარა, რომელიც უშუალო კონკურენტ „ატალანტას“ მასპინძლობდა. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ქართველის გარეშე, ნეაპოლური კლუბი, ერთი უფანტაზიო, არაფრის მაქნისი ბანდაა და თამაშის ხარისხიდან გამომდინარე, არავის გაჰკვირვებია, რომ „ნაპოლიმ“ 0:3 წააგო. შემდეგ ტურში ნეაპოლელები „მონცას“ ხვდებიან და გულშემატკივრები ამბობენ, თუ ხვიჩა არ ითამაშებს, მათთანაც კი დავმარცხდებითო.

მორიგი მშრალი მატჩი ჩაატარა გიორგი მამარდაშვილმა. „ვალენსიამ“ „მალიორკას“ უმასპინძლა და წესითა და რიგით, უნდა მოეგო, მაგრამ გოლის გატანა ვერ მოახერხა. სამაგიეროდ, მამარდამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უმაღლესი დონის მეკარეა და რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნებულ სიაში მეეშვიდე ნომერი ტყუილად არ არის. ჰო, მსოფლიოს უძვირეს კიპერებს შორის, ქართველი მეკარე მეშვიდეა და მისი სატრანსფერო ღირებულება 35 მილიონ ევროდ არის შეფასებული.

ძალიან კარგი მატჩი ჰქონდა ზურიკო დავითაშვილს. მისი „ბორდო“ „პარიზს“ 3:3 დაუზავდა, მაგრამ ქართველზე აუგს ვერავინ იტყვის, ზუკამ გოლიც გაიტანა, საგოლე გადაცემაც შეასრულა და თანაგუნდელთა შორის, საუკეთესოც იყო. ამის მიუხედავად, გუნდის თავკაცმა დავითაშვილზე თქვა, ბევრად მეტი შეუძლიაო და იმედია, ეს ბევრად მეტი, ევროპის ჩემპიონატზე გამოჩნდება.

სრული 90 წუთი ითამაშა „მეცის“ შემადგენლობაში გიორგი მიქაუტაძემ, მაგრამ მისი გუნდი „მონაკოსთან“, საკუთარ მოედანზე, უშანსოდ, 2:5 დამარცხდა. ჟორჟის კლუბს ქვედა დივიზიონში დაქვეითებისგან სასწაული თუ იხსნის და ეს სასწაული თავად ფეხბურთელებმა უნდა მოახდინონ.

ძირითად შემადგენლობაში დაიწყო მატჩი ბუდუ ზივზივაძემ. მისი „კარლსრუე“ გელზენკირხენში „შალკეს“ სტუმრობდა და შეხვედრა უგოლო ფრედ, 0:0 დასრულდა. ბუდუ 69-ე წუთზე შეცვალეს.

ძიუდოისტები ევროპისთვის დაირაზმნენ, მაგრამ...

25-28 აპრილს, ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში, ძიუდოისტთა შორის, ევროპის ჩემპიონატი გაიმართება. ლაშა გუჯეჯიანმა ის შემადგენლობა დაასახელა, რომელიც კონტინენტის პირველობაზე გაემგზავრება და მოსალოდნელიც იყო, რომ ზაგრებში უძლიერესი ძიუდოისტები წავიდოდნენ, თუმცა, როგორც ნაკრების მწვრთნელი ამბობს, წამსვლელთა შორის, შესაძლოა, კორექტირება მოხდეს და ნაკრებს, მაგალითად, ლაშა ბექაური გამოაკლდეს. მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონი პარიზის ოლიმპიადისთვის განსაკუთრებულად ემზადება და, ეგებ, მისი არწაყვანა ტაქტიკურ სვლასთანაც იყოს დაკავშირებული, მეტოქეებმა მისი სტული ნაკლებად რომ შეისწავლონ. ცნობისთვის, ზაგრებში წარმომადგენელი არ გვეყოლება -60 კილოგრამში და ამის ხარჯზე, სამ წონაში 2-2 ძიუდოისტი გვეყოლება. ნაკრების განაცხადი ასე გამოიყურება:

-66კგ. – ვაჟა მარგველაშვილი, -73კგ. – ლაშა შავდათუაშვილი, გიორგი ჩიხელიძე, -81კგ. – ტატო გრიგალაშვილი, -90კგ. – ლაშა ბექაური, გიორგი ჯაბნიაშვილი, -100კგ. – ილია სულამანიძე, +100კგ. – გურამ თუშიშვილი, საბა ინანეიშვილი.

„ჩელსი“ და „სიტი“, შესაძლოა, პრემიერლიგიდან მოკვეთონ

ინგლისის პრემიერლიგის დამოუკიდებელმა კომისიამ, ლონდონის „ჩელსი“ და „მანჩესტერ სიტი“ უკვე გააფრთხილა, რომ გამოძიების დასრულების შემდეგ, ძალიან დიდია იმის ალბათობა, რომ ორივე კლუბი პრემიერლიგიდან გარიცხონ. საქმე ფინანსურ დარღვევებს ეხება და ნუ გგონიათ, საუბარი ერთ, ან ორ დარღვევაზეა. „სიტის“ 115 ფინანსურ დანაშაულს ედავებიან ანუ მათ კანონი 115-ჯერ დაარღვიეს და ამაზე ოდნავ ნაკლებს – „ჩელსის“.

შეგახსენებთ, რომ იმავე კომისიის ძიების შედეგად, „ნოტინგემს“ ოთხი ქულა დააკლეს, „ევერტონს“ – ექვსი, მაგრამ ამ გუნდებს 2-2 დარღვევა უნახეს და არა ათეულობით.

9 აპრილიდან 9 აპრილამდე



მე-3 გვერდიდან

რისპირება კრემლმა საქართველოს დასასჯელად გამოიყენა. საერთოდ, ყოფილი დისიდენტები ამბობენ, რომ მოსკოვს ყველაზე მეტად საქართველოს აბუნტების ეშინოდა, რადგან ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში დაწყებული მოვლენები სხვა რესპუბლიკებში დომინოს პრინციპით ვრცელდებოდა, რაც საშიშროებას ქმნიდა, რომ საბჭოთა იმპერიას საძირკველი შერყეოდა.

კრემლის ეს შიში უსაფუძვლო ნამდვილად არ ყოფილა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საქართველო ერთ-ერთი პირველი რესპუბლიკა იყო, სადაც დისიდენტური და, შესაბამისად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იშვა, მოძრაობა, რომელიც ტოტალიტარულ საბჭოთა სივრცეს თავისუფლების მაგიად მოედება და ასობით, ათასობითა თუ მილიარდობით ადამიანს ბორკილების დამსხვრევისკენ უბიძგებს.

ჟურნალისტი მარიკა კახაძე იხსენებს:

„ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს ამოვა 9 აპრილის ღამე: რუსთაველზე ვიდექი, მხატვრის სახლის წინ, პირველ რიგში, ჩემს მეგობრებთან ერთად, თუმცა მაშინ, ჩვენ, ყველანი, ვინც იქ ვიდექით, ერთი დიდი სამეგობრო ვიყავით, საქართველოს ჯარისკაცები. საქართველოს ნათელი მომავლისთვის, ჩვენი, ჩვენი შვილების, შვილიშვილებისა და მომავალი თაობების ბედნიერებისა და ღირსეული ცხოვრებისათვის ვიბრძოდით. ვიბრძოდით უიარაღოდ, შიშველი ხელებით და ძალიან, ძალიან ძლიერი სულით. ჩვენი შეჩერება შეუძლებელი იყო, რადგან მართალნი ვიყავით და ჩვენი სიმართლის გვწამდა. ასეთი სულისკვეთება ჰქონდა ყველას, ვინც 9 აპრილის ღამეს, რუსთაველის პროსპექტზე იდგა“.

საერთოდ, საქართველოში აქტიური ანტისაბჭოთა მოძრაობა 1988 წლიდან დაიწყო. საბჭოთა მთავრობასა და ეროვნულ მოძრაობას შორის კონფლიქტი 1989 წლის 18 მარტს, ე.წ. ლიხნის ასამბლეის ჩატარების შემდეგ გამწვავდა, სადაც რამდენიმე ათასმა აფხაზმა საქართველოსაგან გამოყოფა და 1921-1931 წლების რესპუბლიკის სტატუსის აღდგენა მოითხოვა, რომელიც ბოლშევიკებმა აფხაზეთს მიანიჭეს.

აფხაზები ყველაფერ ქართულ წვავდნენ და ანადგურებდნენ. მახსოვს, რუსთაველის ძეგლიც ჩამოაგდეს და ურეკებს ურტყამდნენ, რომ ნაფშვენებად ექციათ. ამის საპასუხოდ, ეროვნულმა ძალებმა, მთელი საქართველოს მასშტაბით, საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც აფხაზურ სეპარატიზმს აღვივებდა მიტინგები და საპროტესტო აქციები მოაწყვეს.

საპროტესტო აქციებმა პიკს 1989 წლის 4 აპრილს მიაღწია. მშვიდობიანმა დემონსტრანტებმა, აფხაზი სეპარატისტების დასჯისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით, შიმშილობა დაიწყეს. საქართველოს კომპარტიამ კი კრემლს დამხმარე ძალის გამოგზავნა სთხოვა და... როდიონოვიც საქმეს შეუდგა.

არ დამავიწყდება როდიონოვის გამოსვლები ტელევიზიით – ზიზღი, სიძულვილი, აგრესიული ცინიზმი ქართველების მიმართ და მუქარა, რომ დესტრუქციული ძალები (ეროვნულ მოძრაობა დესტრუქციულ ძალად წარმოაჩინა) სასტიკად დაისჯებოდნენ.

გენერლის მუქარის მიუხედავად, 9 აპრილს, ღამით კიდევ უფრო მეტი ადამიანი შეიკრიბა რუსთაველის პროსპექტზე.

ვიდექით სანთლებით ხელში...

უსინათლო მომღერლები ჩონგურზე „შავლეგოს“ მღეროდნენ...

დრო და დრო ლიდერები გამოდიოდნენ სიტყვით, ხალხს ამხნევებდნენ: „გაუმარჯოს ერთიან, დამოუკიდებელ, თავისუფალ, ძლიერ საქართველოს!~“

ამ ფრაზას ტაშით ვხვდებოდით და ყველა ერთად, მრავალი ათასი ადამიანი, ვიმეორებდით: „გაუმარჯოს ერთიან, დამოუკიდებელ, თავისუფალ, ძლიერ საქართველოს!“

იყო ამ სიტყვებში ისეთი მაგია, რომელიც ჯადოსავით მოქმედებდა.

ჩვენ, ყველა, საქართველოს სიყვარულით ვიყავით მოჯადოებულნი, თავს უძლეველებად ვგრძნობდით და იოტისოდენა შიშიც კი არ გვქონდა.

როდიონოვის არმია უკვე სოლოლაკში, ქუჩებში იყო განლაგებული და გენერლის ბრძანებას ელოდა.

ინფორმაცია სწრაფად გავრცელდა დემონსტრანტებში და ლიდერებმაც გამოაცხადეს. ამ ცნობას ხალხი შეძახილით – „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“ – შეხვდა.

უსინათლო მომღერლებმა კვლავ „შავლეგო“ შემოსძახეს და ხალხიც აჰყვა. სიმღერას ცეკვა „ქართული“ მოჰყვა, დოლის ხმა და „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“ გუგუნებდა რუსთაველზე.

ფსიქოლოგები ასეთ ვითარებას „კოლექტიურ არაცნობიერს“, „ბრბოს ფსიქოლოგიასა“ და „ადრენალინის დიდი დოზით აწევას“ უწოდებენ. ასეთი შეფასებების მოსმენა სასიამოვნო არაა, მით უმეტეს, მაშინ, როცა მაღალი იდეალებისათვის იბრძვი და თავგანწირვისთვისაც მზად ხარ, მაგრამ შესაძლოა, ეს ასეცაა, რადგან როცა პატრიარქი მოვიდა და ხალხს დაშლა სთხოვა, ხალხი არ დაიშალა.

საფრთხე რეალური იყო, მაგრამ გინდ ცნობიერი უწოდე და გინდ – არაცნობიერი, იმ ღამეს ყველა იქ მდგომი გმირი იყო.

კარგად მახსოვს ის მომენტი, ის რამდენიმე წუთი სრული სიჩუმისა, ვიდრე ტანკები გამოჩნდებოდნენ.

უცებ, ყველა ერთდროულად გაჩუმდა, სუნთქვის ხმაც კი არ ისმოდა, თითქოს ყველანი გავქვავდით და...

უცნაური გუგუნი ფეხქვეშ – თითქოს მიწა ატორტმანდა. ღამის 4 საათზე, რუსთაველის პროსპექტს რუსული ტანკები შეესივნენ. ჩვენ შევმჭიდროვდით ორივე მხარეს, რომ უფრო ვრცელი კორიდორი ყოფილიყო ტანკების ჩასავლელად. მოდიოდნენ ტანკები და თავახდილ „ლუკებში“ ავტომატმომარჯვებული ჩაფხუტიანი ჯარისკაცები ჩანდნენ წელამდე. ტანკებს, ორივე მხარეს, ავტომატგადაკიდებული და ნიჩბებმომარჯვებული ჯარისკაცები მოჰყვებოდნენ.

ეს სურათი არასოდეს დამავიწყდება: ჩვენ ვიდექით თავაწეულები, ამაყები და არ გვეშინოდა!“ – იხსენებს ჟურნალისტი მარიკა კახაძე.

როცა 9 აპრილზე ვლაპარაკობთ, ცხადია, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მაშინდელმა მილიციამ, მიუხედავად იმისა, რომ წითელ მუნდირს ატარებდა, არნახული გმირობა გამოიჩინა. თვითმხილველთა თქმით, მილიციის თანაშრომლებს რომ არ ემარჯვათ, მსხვერპლი გაცილებით მეტი იქნებოდა.

იმ ღამეს ქართველმა ქალებმაც იმარჯვეს – იმის იმედით, რომ ალკოჰოლით გალეშილი სისხლმოწყურებული რუსი ჯარისკაცები დაინდობდნენ, ქართველი დედები, ცოლები და დები ბრძოლის წინა ხაზზე გავიდნენ და თავიანთ ქმრებს, შვილებსა და ძმებს გადაეფარნენ, მაგრამ რუსულმა ჩექმამ ქალებიც არ დაინდო...

31 წლის წინ, 9 აპრილი საქართველოში სისხლისფრად გათენდა და... მას შემდეგ სისხლისფერი დღის სიმბოლოდ სიმღერა „ტიტები“ ითვლება, რომელიც საბჭოთა საქართველოს ესტრადის ვარსკვლავებმა შეასრულეს...

სხვათა შორის, 1989 წლის აპრილში, რუსთაველის გამზირზე აქციები ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ინიციატივით დაიწყო, მაგრამ მოგვიანებით, ამ პოლიტიკური ორგანზიაციის წევრები აქციის დაშლას ცდილობდნენ, თუმცა არაფერი გამოუვიდათ, რადგან ვითარებას ვეღარ აკონტროლებდნენ – ტრაგედიის წინ, გადაწყვეტილებებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა, უფრო რადიკალურად განწყობილი ლიდერები იღებდნენ. მათ აფხაზების საკითხი გვერდზე გადაწიეს და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნა გამოიტანეს.

„აფხაზეთის პრობლემა საქართველოთვის არ არსებობს, აფხაზეთი იყო, არის და დარჩება საქართველოს განუყოფელ ნაწილად და მასზე კონტროლს განახორციელებს ქართველი ერი“, – აცხადებდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი, გიორგი ჭანტურია.

„აფხაზი ერი არ არსებობს“, – აღნიშნავდა ზვიად გამსახურდიაც.

ერთმა ისტორიკოსმა თქვა: **„ხალხი, რომელიც ივიწყებს თავის წარსულს, განწირულია მისი ხელმეორედ განცდისთვისო, ეს წიგნი დავწერე იმისთვის, რომ აღარასდროს განვიცადოთ ახალი სისხლიანი კვირა“,** – ამ სიტყვების მოგვიანებით, სანკტ-პეტერბურგის პირველი მერი, საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატი ანატოლი სობჩაკი იტყვის, რომელიც 9 აპრილის ტრაგედიის შემსწავლელ კომისიას ხელმძღვანელობდა და რომელმაც ამ თემაზე დაწერილ წიგნს ასე დაარქვა: „თბილისის 1989 წლის სისხლიანი კვირა“.

ამონარიდი ინტერნეტპორტალ geoindependence.net-ზე გამოქვეყნებული სტატიიდან:

„1989 წლის 7 აპრილს, საქართველოს კომპარტიის პირველმა მდივანმა, ჯუმბერ პატიაშვილმა სსრკ-ის ხელმძღვანელობას დამხმარე ძალების გამოგზავნა სთხოვა თბილისში, წესრიგის აღსადგენად. შემდეგ კი, თბილისში, მშვიდობიანი დემონსტრანტების და მოშიმშილეების უსასტიკესი მეთოდებით დარბევის დეტალების შესწავლას სსრკ სახალხო დეპუტატების საგამოძიებო კომისია შეუდგა, ანატოლი სობჩაკის ხელმძღვანელობით. ამ კომისიის დასკვნა მძიმე აღმოჩნდა საბჭოთა ხელმძღვანელობისთვის. კომისიის თავმჯდომარეს საბჭოთა არმიის სახელის შებღალვაში დასდეს ბრალი. დასკვნაში ითქვა, რომ თბილისში მიმდინარე მიტინგის დაშლის გეგმის მომზადებისას და ამავე გეგმის განხორციელებისას, ადგილი ჰქონდა სერიოზულ შეცდომებსა და კანონდარღვევებს საკავშირო და რესპუბლიკური ხელმძღვანელი ორგანოების მხრიდან“.

საინტერესო დეტალებს იხსენებს ანატოლი სობჩაკი წიგნში – „თბილისის 1989 წლის სისხლიანი კვირა“. ის მიუთითებს 1989 წლის აპრილის უმძიმესი გადაწყვეტილების მიმღებ მთავარ პირებს: ჯუმბერ პატიაშვილი, ბორის ნიკოლსკი (საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი 1984-89 წლებში), კონსტანტინ კოჩეტოვი (1989 წელს სსრკ თავდაცვის მინისტრის მოადგილე), იგორ როდიონოვი (1989 წელს სსრკ ჯარების ამიერკავკასიის გარნიზონის მეთაური).

ხსენებულების გარდა, სობჩაკი ასახელებს 1989 წლის 9 აპრილს, თბილისში ჩატარებული სადამსჯელო ღონისძიების მზადებაში მონაწილე სხვა პირებსაც: ზურაბ ჩხეიძე (მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე), ოთარ ჩერქეზია (უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე)...

„ეს პირები წარმოადგენდნენ „კოლექტიურ“ ხელისუფლებას, ისინი ყოველთვის ზარზეიმით უჭერდნენ მხარს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებებს“, – წერს ანატოლი სობჩაკი.

წიგნში „თბილისის 1989 წლის სისხლიანი კვირა“ აღნიშნულია, რომ თავიდან, იგორ როდიონოვი თბილისში, დემონსტრაციის დაშლის ღონისძიებაში სამხედრო ძალის გამოყენების წინააღმდეგი იყო: **„როდიონოვს არ შეიძლება, არ სცოდნოდა, რაზე მიდიოდა, ამიტომ სავარაუდოა, რომ პროცესში მისი ჩართვის მიზეზი იმდენად საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილება კი არ იყო, არამედ, მაგალითად, სსრკ თავდაცვის მინისტრის ბრძანება, ანდაც საბჭოთა კავშირის უმაღლესი ხელმძღვანელობის ბრძანება... მაგრამ, ყველაფერი ეს მარჩიელობაა, არც როდიონოვმა, არც გენერალმა კოჩეტოვმა, არც სსრკ თავდაცვის მინისტრმა იაზოვმა, არც ჩებრიკოვმა (1989-ში სსრკ უშიშროების ხელმძღვანელი) არ აღიარეს მსგავსი ბრძანების არსებობა, ამიტომ მომხდარი გენერალ როდიონოვის სინდისზე რჩება“.**

ძროხა ინსულინიან რძეს იწველება

სწავლულებმა აშშ-დან და ბრაზილიიდან, გენეტიკურად მოდიფიცირებული ტრანსგენური ძროხა შექმნეს, რომელიც ადამიანის ისნულინის შემცველ რძეს იძლევა. პერსპექტივაში, ასეთ ცხოველებს შეუზლიათ გამოიმუშაონ ადამიანებისთვის საჭირო ნივთიერებების მარაგი. მკვლევარებმა ადამიანის დნმ-ის სპეციფიკური სეგმენტი, რომელიც კოდირებს პროინსულინს, ჩანერგეს ძროხის ათი ემბრიონის უჯრედულ ბირთვში. შემდეგ კი ის ჩვეულებრივი ძროხის საშვილოსნოში მოათავსეს. შედეგად, ბუნებრივი გზით დაიბადა ტრანსგენური ხბო, რომელიც ახლა უკვე რძესაც იძლევა. სპეციალისტებმა ვერ შეძლეს ამ გენმოდიფიცირებული ცხოველის განაყოფიერება, თუმცა მიაჩნიათ, რომ ეს ემბრიონის ჩამოყალიბების მეთოდით იხსნება. საბოლოოდ, სწავლულებმა „აიძულეს“ ძროხა, რძე ექსპერიმენტული ჰორმონალური ინდუქციის გზით მოეცა. მასში აღმოაჩინეს სპეციფიკური ცილები, რომელიც ადამიანის ინსულინის ანალოგიურია.

ძმები გრიმების ზღაპრები რეკორდულ ფასად გაიყიდა



გერმანიაში, კიოლნში გამართულ Venator & Hanstein-ის აუქციონზე, ძმებ გრიმების „საბავშვო და ოჯახური ზღაპრების“ პირველი გამოცემის უნიკალური ასლი რეკორდულად მაღალ ფასად – 215 ათას ევროდ გაიყიდა. აუქციონის სახლის ინფორმაციით, ეს ყველაზე მაღალი ფასია, რაც კი ოდესმე, მსოფლიოში იშვიათ ეგზემპლარში გადაუხდიათ. ლოტის სასტარტო ფასი 100 ათასი ევრო იყო. ზღაპრების ორტომეული პირველად 1812-1815 წლებში გამოიცა. მისი საერთო ტირაჟი სულ 700 ეგზემპლარი იყო. ბევრი მათგანი დაზიანდა. ისეთი მთლიანად შემონახული ტომები კი, რაც აუქციონზე იყო წარმოდგენილი, დიდი იშვიათობაა, თუმცა არც ისინია უხინჯო.

ვახშამს სტრატოსფეროში სთავაზობენ

დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში მდებარე რესტორან Alchemist-ის შეფ-მზარეული, რასმუს მუნკი თანამშრომლობს კოსმოსური მოგზაურობის სააგენტო Space VIP-თან და კომპანია Space Perspective-თან, რათა 2025 წლისთვის უნიკალური, „სტრატოსფერული ვახშამი“ მოაწყოს. ხელმისაწვდიმი იქნება მხოლოდ ერთი, ექვსკაციანი სუფრა. ფრენა ექვს საათს გაგრძელდება. სტუმრები ზღის დონიდან 30.5 კილომეტრის სიმაღლეზე აფრინდებიან კოსმოსური ხომალდით „ნეპტუნი“, რომელიც Space Perspective-ის საკუთრებაა. ხომალდის კაფსულა ადის „კოსმოსური ბურთის“ და არა რაკეტის მეშვეობით. სტუმრებს, რომელთაც სპეციალურად მოდის სახლი Ogier-ი გამოაწყობს ინდივიდუალური შეკვეთით შეკერილ სამოსში, შეუძლიათ შეფ-მზარეულის კოსმოსური კერძებით ისიამოვნონ, თან მზის ამოსვლითაც დატკბნენ. ამ უნიკალური ვახშმის ღირებულება, ერთ ადამიანზე 495 ათას დოლარს შეადგენს. ღონისძიებიდან მირებული შემოსავალი კი გადაირიცხება კოსმოსური პრემიის ფონდში, რომელიც მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში გენდერული თანასწორობის დანერგვით არის დაკავებული.

ბრმებს თვალს აუხელენ

ამერიკელი მეწარმე და პლანეტის უმდიდრესი ადამიანი ილონ მასკი აცხადებს, რომ მისი ნეიროტექნოლოგიური კომპანია Neuralink მუშაობს Blindsight-ის იმპლანტზე, რომელიც ბრმებს დანახვის საშუალებას მისცემს. აღსანიშნავია, რომ ეს იმპლანტი უკვე გამოცდილია მაიმუნებზე. თავდაპირველად მხედველობა დაბალი იქნება, თუმცა საბოლოოდ, შესაძლოა, გადააჭარბოს ადამიანის ჩვეულებრივ მხედველობას. ერთ-ერთი პრეზენტაციისას, მასკმა ისიც თქვა, რომ მის კომპანიაში სწამთ, თვალს ისეთებსაც აუხელენ, რომლებსაც ეს ბედნიერება არასდროს ჰქონიათ. Neuralink-ი მილიარდერმა 2016 წლის ზაფხულში შექმნა. კომპანია ჩიპების შემუშავებით არის დაკავებული, რომელიც პერსპექტივაში, ადამიანის თავის ტვინში უნდა ჩაინერგოს. მასკი მიიჩნევს, რომ ასეთი ნეიროინტერფეისი ადამიანს კიბორგად გადააქცევს და ხელოვნურ ინტელექტს გაუწევს წინააღმდეგობას.

საკურორტო ქალაქში „დრაკონული“ კანონები მიიღეს

ესპანეთის ერთ-ერთი, ყველაზე პოპულარული საკურორტო ქალაქის ხელისუფლებამ, რომელიც ყოველწლიურად ათასობით ტურისტს იზიდავს, ახალი წესები შემოიღო. მათი დარღვევის შემთხვევაში, დანაშავეებს მკაცრი სასჯელი ელით. ბენიდორმი, რომელიც ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარეობს, ვალენსიის თემს მიეკუთვნება. ადგილობრივმა ჩინოვნიკებმა გადაწყვიტეს, ცოტა შეეზღუდათ ტურისტების უფლებები და არა მხოლოდ უსაფრთხოებაზე, არამედ, ქალაქში წესრიგზეც იზრუნეს. ბენიდორმი ღამის მჩქეფარე ცხოვრებით გამოირჩევა, თუმცა ამიერიდან, გარკვეული შეზღუდვები ამოქმედდება – მაგალითად, ზღვაში ცურვა ღამის 12 საათიდან დილის 7 საათამდე იკრძალება. კანონდამრღვევს 750-დან 1200 ევრომდე ჯარიმა ემუქრება. მკაცრად დაისჯებიან ისინიც, რომლებიც პლაჟზე სხვების დასვენებას შეუშლიან ხელს. მაგალითად, წინასწარ დაჯავშნის ადგილს პირსახოცის, ან სკამის დატოვებით. ჯარიმა ელით მათაც, რომლებიც ფიზიკური აქტივობით, ამისთვის გამოყოფილი ადგილების გარეთ დაკავდებიან. მაგალითად, 120 ევროს გადახდა მოგიწევთ, თუ პლაჟის ფრენბურთს ასეთ „უადგილო“ ადგილას ითამაშებთ.

მათ, რომლებიც სანაპიროზე დასვენებას სრული სიშიშვლით გადაწყვეტენ, 650 ევროსთან განშორება მოუწევთ. პლაჟზე სპირტიანი სასმელის დალევისთვის ჯარიმა 750 ევროა, მოწევისთვის უფრო მეტი – 2 000 ევრო. თუკი სანაპიროზე სასიყვარულო ურთიერთობისას წაასწრებენ ვინმეს, მათაც 750-ევროიანი ჯარიმა ელით. ნებისმიერი დამსვენებელი დაჯარიმდება, თუკი პლაჟის მახლობლად, ღია საშხაპეებში საპონს, ან შამპუნს გამოიყენებენ. ჰიგიენის საშუალებების მოხმარება 650 ევრო დაგიჯდებათ.

დღეგრძელობის მიზეზი დაადგინეს

შვედმა მეცნიერებმა დაასრულეს კვლევაზე მუშაობა, რომელიც 50 წელიწადზე მეტხანს გრძელდებოდა. სწავლულები იმ 855 ადამიანის ცხოვრების წესსა და ჯანმრთელობის მდგომარეობას აკვირდებოდნენ, რომლებიც გეტებორგში, 1913 წელს დაიბადნენ. სამუშაოს დასრულების შემდეგ, მკვლევარებმა რამდენიმე რეკომენდაცია მოამზადეს მათთვის, რომლებსაც სურთ, გაიმეორონ ექსპერიმენტის მონაწილეების მიღწევა და 100 წლამდე და მეტიც იცოცხლონ. სწავლულები ამტკიცებენ, რომ ყველაზე მეტად სიცოცხლის ხანგრძლივობაზე მოქმედებს ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 50 წლის ასაკში (თუ ამ დროისთვის ხერხდება ცხოვრების კარგი პირობების შექმნა, ეს მნიშვნელოვნად ზრდის სიცოცხლის წლებს), გენეტიკური მიდრეკილება დღეგრძელობისკენ დედის მხრიდან, სისხლში ქოლესტერინის ნორმალური დონე და ასევე მოწევაზე უარის თქმა. ვისაც დიდხანს სიცოცხლე სურს, მეცნირები ურჩევენ, დღეში ოთხ ფინჯანზე მეტი ყავა არ დალიონ.

საბჭოთა ტანკში ოქრო იპოვა

ბრიტანელმა მამაკაცმა, ინტერნეტის მეშვეობით, საბჭოთა ტანკი რ-55 იყიდა და მასში 5 კილოგრამი ოქრო აღმოაჩინა. 62 წლის ბიზნესმენი ნიკ მიდი სამხედრო ტექნიკის კოლექციას აგროვებს. არსენალში, რომელიც ნორტჰემპტონშირში, მის ფერმაშია განთავსებული, დაახლოებით, 300 ტანკი და სხვა საბრძოლო მანქანა შედის. მსურველებს ის ამ ტექნიკით გასეირნებასაც სთავაზობს, რასაკვირველია, გარკვეული ანაზღაურების საფუძველზე. დაახლოებით, შვიდი წლის წინ, მან ინტერნეტ-აუქციონზე ირანული ტანკი იყოდა, რომელიც საბჭოთა რ-55-ის ბაზაზეა შექმნილი. ნიკმა მასში 30 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაიხადა. ტანკის შესწავლისას, შიგნით 5-კილოგრამიანი ოქროს ზოდები აღმოაჩინა, რომელიც წინა მფლობელმა რატომღაც ვერ შენიშნა. მიდმა არ იცოდა, რა ექნა ამ აღმოჩენისთვის და ოქრო პოლიციაში მიიტანა. სამართალდამცავებმა ზოდები ანალიზისა და შენახვის მიზნით დაიტოვეს. მას შემდეგ, მამაკაცს ის თვალით აღარ უნახავს. ოქრო კი კუვეიტური აღმოჩნდა, გაირკვა, რომ 1991 წლის მოვლენების დროს მოიპარეს და ასე აღმოჩნდა საბრძოლო მანქანაში. ნიკი ნანობს, რომ ნაპოვნი ოქრო პოლიციას ჩააბარა, რადგან ხელცარიელი დარჩა.

სოკოს რობოტი კრეფს

კანადელმა ინჟინერმა რობოტი შექმნა, რომელსაც სოკოს მოკრეფა ადამიანზე უკეთესად – უფრო სწრაფად და ხარისხიანად გამოსდის. მეჰრად ქერმანის მიერ შექმნილი „ჭკვიანი“ მანქანა უკვე მუშაობს ონტარიოში, ერთ-ერთ ფერმაში. რბილი სოკოს მოჭრა რობოტს უფრო აკურატულად, მის დაუზიანებლად შეუძლია. ის ასევე ახდენს სოკოს სკანირებას და ადგენს მის სიმწიფეს. თუ პროდუქტი ჯერ არ მომწიფებულა, რობოტი მას მონიშნავს და მის მოსაკრეფად მოგვიანებით, საჭირო დროს დაბრუნდება.

ვაქცინა ძვლების შესახორცებლად

ამერიკელმა სწავლულებმა აშშ-ს მაიოს კლინიკიდან, გერმანელ და ჰოლანდიელ კოლეგებთან ერთად, რნმ-მესენჯერის საფუძველზე შექმნეს ვაქცინა, რომელსაც ძვლების შეხორცების სტიმულირება შეუძლია. დაზიანების შემდეგ, ადამიანის ძვლის ქსოვილი ორი მეთოდით აღდგება: სტრომალური უჯრედებიდან (ღეროვანი უჯრედები) პირდაპირი წარმოქმნით, ანდა ენდოქონდრიალური ოსიფიკაციით ანუ ხრტილის ჩამოყალიბებით, რომელიც შემდეგ გაძვალდება. ამ მექანიზმების მოშლის და ორგანიზმში სხვა დარღვევების გამო, მოტეხილობები აღარ ხორცდება, რასაც ამპუტაციამდე მივყავართ. ასეთი შემთხვევებისთვის მკვლევარებმა მკურნალობის ახალი მეთოდი შექმნეს, რომელსაც ძვლის ქსოვილის აღდგენის სტიმულირება შეუძლია. ჯერჯერობით, სწავლულებმა ახალი პრეპარატი მღრღნელებზე დატესტეს, რამაც მაღალი ეფექტურობა და უსაფრთხოება აჩვენა ერთი დოზის გადასხმის შედეგადაც კი. ამ მიმართულებით კვლევები კვლავ გრძელდება.

ჭურჭელი ზარმაცებისთვის

შვედური დიზაინერული ფირმა Tomorrow Machine-ის სპეციალისტებმა იმ მილიონობით ადამიანის ოცნება აასრულეს, რომელთაც ჭირივით ეზარებათ ჭურჭლის გარეცხვა. მათ შექმნეს თეფში და ჯამი, რომელიც თავისით ირეცხება. საიდუმლო კი სუპერჰიდროფობულ საფარშია, რომლითაც ჭურჭელია დაფარული და რომელიც ნებისმიერ ჭუჭყსა და სითხეს „უკან აგდებს“. ამ პროექტის ინიციატორი შვედეთის მრეწველობის ფედერაციაა, მის ფარგლებში, დიზაინერულმა ფირმამ და სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა სამი პროდუქტი შექმნა, რომელიც ცელულოზას გამოყენების პოტენციურ შესაძლებლობებს წარმოაჩენს. თვითრეცხვადი ჭურჭელი მსუბუქი, მაგრამ მტკიცე მასალისგან არის დამზადებული, ის სპეციალური საფარითაა დაფარული, რომელიც ჭუჭყსა და წყალს არ იღებს და შესაბამისად, არც რეცხვა სჭირდება. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში შემუშავდა მასალაც, რომელიც შეიძლება 3D-პრინტერზე დაიბეჭდოს და მას სხვადასხვა ფორმა მიეცეს. ამავე ფირმის დიზაინერებმა შექმნეს, ასევე, სენსორული ეკრანიც ნანოცელულოზასგან.

შაქრის დღიური დოზა 2 ჭიქა ღვინოა

ბრიტანელმა მკვლევარებმა Alcohol Health Alliance-დან დაადგინეს, რომ შაქრის მაქსიმალური, დღიური დოზის მისაღებად საკმარისია, ადამიანმა დღეში მხოლოდ ორი ჭიქა ღვინო მიირთვას. დამოუკიდებელი ლაბორატორიის სპეციალისტებმა ნისლიან ალბიონზე ცნობილი ბრენდების წითელი, თეთრი, ვარდისფერი და ცქრიალა ღვინოები შეისწავლეს. დადგინდა, რომ ზოგიერთი სახეობის ერთი ბოთლი სასმელი 60 გრამამდე შაქარს შეიცავს, რაც ერთ მინანქრიან დონატში შაქრის შემცველობასაც კი აღემატება. ჯანდაცვის ეროვნული სამსახურის რეკომენდაციის თანახმად, ზრდასრულმა ადამიანმა დღეში მაქსიმუმ 30 გრამი შაქარი შეიძლება მიიღოს. ასე რომ, დღიური ლიმიტის მისაღწევად, საკმარისია, ადამიანმა ორი ჭიქა ღვინო მიირთვას.

მარტოობა მოწევასავით მავნეა

მეგობრების საერთოდ არარსებობა ადამიანის ჯანმრთელობისთვის ისეთივე მავნეა, როგორც თამბაქოს მოწევა, – ასეთ გასაოცარ დასკვნამდე მივიდნენ ჰარვარდის უნივერსიტეტის მკვლევარები. უმეგობრო ადამიანი ზუსტად ისევე რისკავს ამ ცხოვრებიდან ნაადრევად წასვლას, როგორც დღეში ორი კოლოფი სიგარეტის მწეველები. ამერიკელმა მკვლევარებმა კავშირი აღმოაჩინეს მარტოობასა და სისხლში სპეციფიკურ ცილებს შორის, რაც ინფარქტსა და ინსულტს იწვევს, თრომბების წარმოქმნის გზით. ცნობილია, რომ სოციალური იზოლაცია იწვევს ორგანიზმის სტრესულ რეაქციას, იზრდება ცილა ფიბრინოგენის მაჩვენებელი. სწავლულებმა ერთმანეთს შეადარეს ფიბრინოგენის დონე მეგობრებისა და ახლობლების რაოდენობასთან და გასაოცარი კავშირი აღმოაჩინეს. რაც ნაკლები იყო ეს რაოდენობა, მით მეტი აღმოჩნდა ცილის დონე.

თანამშრომლებს სამთვიან შვეულებაში უშვებენ

უკვე მივეჩვიეთ, რომ დასაქმებულ ადამიანს წელიწადში შვეულება ერთ თვეზე მეტხანს არ აქვს. ბევრს არ ყოფნის ეს დრო, რომ სრულფასოვნად დაისვენოს. ამ პრობლემის მოგვარება გადაწყვიტა ერთმა ავსტრალიურმა კომპანიამ, რომელიც ნებას აძლევს საკუთარ თანამშრომლებს, წელიწადში სამი თვე დაისვენონ. მათ შეუძლიათ, შვებულება 6-დან 12 თვემდე აიღონ. გარდა ამისა, კომპანიას მუშაობის სხვადასხვა სქემა აქვს – მსურველებს შეუძლიათ თავისუფალი გრაფიკით იმუშაონ. კომპანია Ernst & Young Oceana-ის ხელმძღვანელის, ქეით ჰილმანის განცხადებით, ყველა ეს ღონისძიება აუცილებელი ხდება, რათა ნიჭიერი ადამიანების მოზიდვის მწვავე კონკურენციისას, უპრატესობა ჰქონდეთ. თანამედროვე ახალგაზრდობას მუშაობის უფრო მოქნილი გრაფიკი ხიბლავს. ჰილმანის თქმით, ტრადიციული სტრუქტურები და სამუშაო ვადები – ეს უკვე წარსულია.

ორსული დონორების სისხლი საშიშია

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ანტისხეულებს, რომელსაც ქალის ორგანიზმი ფეხმძიმობისას იძენს ბავშვის დასაცავად, შეუძლია, მამაკაცებში ნეგატიური რეაქციები გამოიწვიოს და ფატალურად დასრულდეს. სიკვდილიანობის ყველაზე უფრო გავრცელებული მიზეზი ფილტვების მწვავე დაზიანების სინდრომი იყო, რაც სისხლის გადასხმას უკავშირდებოდა. ამჟამად, მხოლოდ დიდ ბრიტანეთში, ყოველწლიურად, სისხლის გადასხმა სამ მილიონზე მეტ ადამიანს სჭირდება, თუმცა მონაცემებში არ მიუთითებენ, დონორი ქალია თუ მამაკაცი. ძლიერი სქესის წარმომადგენლებში, რომელთაც ორსული ქალი-დონორების სისხლი გადაუსხეს, სიკვდილიანობა სტატისტიკურად იზრდებოდა იმათთან შედარებით, რომლებსაც დონორი-მამაკაცის, ან იმ ქალისგან გადაუსხეს, ვინც არასოდეს ყოფილა ორსულად.

ყველი ქოლესტერინს არეგულირებს

ჯანმრთელობის ამერიკული აკადემიის სპეციალისტები აცხადებენ, რომ ყველს ადამიანის ორგანიზმისთვის საკმაოდ ბევრი სასარგებლო თვისება აქვს. მათი მონაცემებით, ეს პროდუქტი საშუალებას იძლევა, სისხლში ქოლესტერინის დონე ვაკონტროლოთ. გარდა ამისა, ყველი დიდი რაოდნეობით სასარგებლო ცხიმებს შეიცავს. სწავლულებმა რამდენიმე ექსპერიმენტი ჩაატარეს იმის გასარკვევად, როგორ მოქმედებს ყველის მოხმარება ორგანიზმზე. კვლევაში, დაახლოებით, 150 მოხალისე მონაწილეობდა. მათ ნახევარს ყოვლდღიურად 100 გრამ ამ პროდუქტს ალევდნენ, მეორე ჯგუფს კი ორი თვის განმავლობაში საერთოდ აუკრძალეს რძის ნაწარმი. აღმოჩნდა, რომ ის მოხალისეები, რომლებიც ყველს მიირთმევდნენ, გაცილებით უფრო მხნედ და უკეთ გრძნობდნენ თავს, მეტიც, სისხლში ქოლესტერინის მაჩვენებელიც მნიშვნელოვნად გაუუმჯობესდათ.

კიბოს წამალს კვერცხიდან მიიღებენ?

შოტლანდიელმა სწავლულებმა გენმოდიფიცირებული ქათმების ახალი ჯიში გამოიყვანეს, რომლებიც კვერცხს დადებენ ადამიანის ცილით. მათგან კი შემდგომ დაამზადებენ წამლებს ართრიტის, ვირუსებისა და ონკოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ. მკვლევარებმა აღმოაჩინეს გენი, რომელიც ადამიანის ორგანიზმში ცილის გამომუშვებაზეა პასუხისმგებელი. მისი ელემენტები გადანერგეს წიწილების დნმ-ში. მათგან გაზრდილი ქათმები კი უკვე დადებენ კვერცხს, რომლის შემადგენლობაშიც საჭირო ცილა იქნება. ასეთი ფრინველების პირველი პარტია უკვე გამოყვანილია. სწავლულების თქმით, კვერცხისგან მიღებული პრეპარატები 100-ჯერ უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე ლაბორატორიებში სინთეზირებული. ასე რომ, ანტივირუსული და კიბოს საწინააღმდეგო წამლები, შესაძლოა, გაცილებით გაიაფდეს.

მრავალჯერადი ქაღალდი შექმნეს

სინგაპურელმა სწავლულებმა ჰიპოალერგენული, მრავალჯერადი ქაღალდი შექმნეს მცენარეული მტვრისგან – ის ბეჭდვის რვა ციკლსა და ტექსტის წაშლას უძლებს. ახალი მასალა უამრავ ტყეს გადაარჩენს გაჩეხვისგან, მისი წარმოება კი უსაფრთხოა გარემოსთვის. დღეს არსებული ხე-ტყის მასალის 40% ქაღალდის წარმოებაზე მოდის. გარდა ამისა, მის დასამზადებლად მაღალ ტემპერატურასა და ქიმიურ ნივთიერებებს იყენებენ, რაც დიდ ზიანს აყენებს ატმოსფეროს. სპეციალისტებმა ახალი ტექნოლოგიით 0.03 მილიმეტრის სისქის ქაღალდი მიიღეს. ის ძმარმჟავით დაამუშავეს, რათა თავიდან აიცილონ ტენის შეწოვა.

ღორებს როკ-მუსიკაზე ზრდის rok

ბელგიაში, ღორების ერთ-ერთი ფერმის მფლობელი, ცხოველებს ყოველდღიურად ურთავს როკს. დღეში ორჯერ, სამ-სამი საათით, ღორები როკ-მუსიკის ჰიტებს უსმენენ. ფერმერი დარწმუნებულია, რომ ეს მის ცხოველებს აბედნიერებს, მათი ხორცი კი უფრო გემრიელი ხდება. როკ-მუსიკის მოყვარულის ფერმაში სულ 5.5 ათასი ღრუტუნა ცხოვრობს. მეცხოველეობის ექსპერტები თავს ვერ დებენ, რომ ამგვარი მუსიკის ფონზე გაზრდილი ღორების ხორცი რამე გემოვნური თვისებებით გამოირჩევიან.

გასტრონომიულ სიამოვნებასაც გაზომავენ

ოდესმე დაფიქრებულხართ, შეიძლება თუ არა, ჭამით მიღებული სიამოვნება გაიზომოს? იმის გასარკვევად, სინამდვილეში რამდენად გიყვართ ესა თუ ის პროდუქტი, ან იმის გაგება გსურთ, მოეწონათ თუ არა სტუმრებს თქვენი კერძები, თუ მხოლოდ ზრდილობის გამო შეგაქეს, ახლა არსებობს მოწყობილობა, სახელწოდებით Neurokiff. ის ფრანგმა სწავლულებმა შექმნეს ნანტის უნივერსიტეტიდან. მოწყობილობა ნერონულ გარნიტურას წარმოადგენს და თავზე მაგრდება. ის აფიქსირებს ემოციებს, რაც ადამიანს ამა თუ იმ კერძის, ან სასმელის დეგუსტაციისას უჩნდება. ეს შესაძლებელია თავის ტვინის ელექტრული აქტივობის განსაზღვრით, რომელსაც ელექტროენცეფალოგრამის შეშვეობით გამოავლენენ. ბოლო თაობის ციფრული ტექნოლოგიების მიხედვით შექმნილი მოწყობილობა არეგისტრირებს ოთხ ემოციურ მდგომარეობას – აღგზნებას, მედიტაციას, მოწყენილობას და იმედგაცრუებას. დაფიქსირებული ემოციები შემდგომ კომპიუტერის ეკრანზე გამოისახება.

თევზის გამო ასამართლებენ

აშშ-ში, ადმინისტრაციული საქმე აღიძრა მამაკაცზე, რომელსაც შინაურ ცხოველთან სასტიკ მოპყრობაში ადანაშაულებენ. ინციდენტი ქალაქ უილმინგტონში მოხდა. პოლიციელებმა ერთ-ერთ ბინაში, დაბინძურებული აკვარიუმი ნახეს თევზით, რომელიც ჭუჭყიანი წყლისა და უჭმელობისგან საშინელ მდგომარეობაში იყო. დადგინდა, რომ ბინის მეპატრონე სხვა სახლში გადავიდა საცხოვრებლად, აკვარიუმი თევზით კი ძველ ბინაში დარჩა ან განზრახ დატოვა. სამართალდამცავებმა თევზი უახლოეს ზოომაღაზიაში წაიყვანეს, სადაც მას მიხედავენ. ბინის პატრონს კი ახლა ან ფულადი ჯარიმა, ანდა ხანმოკლე პატიმრობა ელის – ცხოველთან სასტიკი მოპყრობის გამო.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.